

სრულიად საკავშირო გეოგრაფიული ინჟინერული - ტექნიკური სამსახური საზოგადოების სამართველოს გაცე - ლეგა

K 164
1

მ. ა. გირშეანი

მარტენის ღუმერის ათვრა

საქ. სახ. თემ. გამოცემაშიგა „ტექნიკა და უროგა“
თბილისი

1946

2019-1574

1574

საქართველოს მთალურგია სამეცნიერო-
სამსახური ტექნიკური საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გაძმალა დიდი
მშენებლობა ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნისა
წარმოებათა სრული ციკლით, რომელსაც საკავშირო მნიშვ-
ნელობა აქვს და რომელიც უნდა მოქმედობოს არა მარტო
საქართველოსა და მისი მოძმე რესბუბლიკების—აზერ-
ბეიჯანისა და სომხეთის—სოციალისტურ მშენებლობას,
რამედ საბჭოთა კავშირის სხვა მეზობელ რაიონებსაც.

იგულისხმება, რომ საქართველოში პირველად
ასათვისებელი მეტალურგიული წარმოებებისათვის ნაცი-
ონალური კატეგორია მომზადება ერთი უმნიშვნელოვანები
აშორისათვის ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნის
დირექციის წინაშე.

საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის რამდე-
ნიმე ათასი კაცი დიდი მიღწევებით გადის საწარმოო
სუველებას დონბასისა და დნეპრისპირეთის მეტალურ-
გიული, კოქსოქიმიურ და ცეცხლგამძლე ნაწარმთა ქარხ-
ნებში.

იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშებს გაუადვილონ
მეტალურგიული წარმოებების თეორიით დაუფლება,
ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექციამ
და საქართველოს მეტალურგთა სამეცნიერო-საინჟინრო
ტექნიკურმა საზოგადოებამ დაიწყეს შევე მეტალურგიის
წამყვანი პროფესიებისაოვის შესაფერი ლიტერატურის
დამზადება და გამოცემა ქართულ ენაზე.

საამქროების ექსპოლოტაციაში შესვლის დასახული
კალენდარული რიგის მიხედვით თარგმნილი ტექნიკური
ლიტერატურით პირველად უზრუნველყოფილი იქნებიან
მარტენის წარმოების მუშები.

შემდეგ კი გამოიცემა თარგმნილი და ორიგინალური
სახელმძღვანელოები შავი მეტალურგიის სხვა წარმოებათა
შესახებ.

ტექნიკური მინიმუმის სახელმძღვანელოთა თარგ-
მნისა და გამოცემის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა
დაკისრებული აქვს საქართველოს მეტალურგთა სამეცნი-
ერო-საინჟინრო ტექნიკური საზოგადოების საგამომ-
ცემლო-სარედაქციო ბიუროს, რომლის შემადგენლობაში
არიან ამხ. ამხ. რ. ი. ალლაძე, ა. ვ. ბერეკაშვილი, გ. ჭ.
გედევანიშვილი, ა. ა. გულისაშვილი, გ. შ. მიქელაძე და
ე. მ. ნადირაძე.

ლ. მ. გრიშინის სახელმძღვანელოს წინამდებარე
თარგმანი შესრულებულია დოცინტ ლ. ვ. კოჩინაშვილის
მიერ, ხოლო თარგმანის რედაქცია კი ეკუთვნის მეცნიე-
რებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ
ა. ა. გულისაშვილს.

მეტალურგ ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო
საზოგადოების საქართველოს განყოფილების ორგმიურო.

ՇՈՒԱՏԱՎԱՐԱՋԱ

մարդենու լումելու տաշուսու մշշառքու գրու ցանու պահանջու նշանակութիւնը:

- 1) ալուսացան նեղանունու լճութան;
- 2) մասալու հայրու գրու գարդպահուսացան նշանակութիւնը;
- 3) ցամացանու լուտունուսա դա վուգուսացան ամուսինակ.

մարդենու լումելու յարցած դա եանցրմանու մշշառքան նշանակութիւնու մեռանու օմ նշանակութիւնու պահանջութիւնը պահանջութիւնը, գրու նշանակութիւնը պահանջութիւնը ամ նշանակութիւնը և գայուղունենու նշանակութիւնը, լումելու ան սիրութիւնը ասեւ վեսուր մզգութարեանանու պահանջութիւնը նշանակութիւնը պահանջութիւնը մարդենու լումելու մուգուն ամուսինակ.

ღუმელის შრობა და გახურება ცივი რეალიტის
ჟანრი

მარტენის ღუმელის წესიერი მოვლა უნდა დაიწყოს ღუმელის გახურების მოშენებითანვე. ღუმელის დაუდევარმა და გაუფრთხილებელმა გახურებამ შეიძლება მას შიაყენოს დიდი ზიანი და ძლიერ შეამოკლოს ღუმელის ქამპანია.

დინასის აგური, რომლისგანაც ავებულია მარტენის ღუმელის უმეტესი ნაწილი, თუ მისი ტემპერატურა სწრაფად აიწევს, იწყებს დასკდომას და თან მისი მოცულობა საგრძნობლად იზრდება. ის აგურები, როლებზედაც გაჩნდა ნაპრალები, ჰკარგავენ თავის სამკვიდრეს და ძალიან ჩქარი იწყებენ ნგრევას; ნაპრალებზე აემტვრევა აგურის ნატეხები. ჩქარი გახურების დროს დინასის აგურის მოცულობის გადიდება გამოიწვევს მარტენის ღუმელის ცალკე ნაწილების ზრდას (მაგალით, თაღ, თალის); ამ ზრდის გამო დაირღვევა ღუმელის ნაწილების ფორმა, რაც გამოიწვევს მათი მდგრადობის შემცირებას. შეიძლება ცალკე ნაწილები ჩამოინგრეს ქიდეც.

აქედან გამომდინარეობს წესი, რომელიც საჭიროა რომ დაცული იქნეს მარტენის ღუმელის გახურების დროს: გახურება უნდა ხებოდეს იმდენად ნელა და ფრთხილად, რომ ამან არ გამოიწვიოს არც ნაპრალები აგურში და არც ღუმელის ცალკეულ ნაწილების ზრდა. დინასის აგურების ცოტაოდენი ზრდა აუცილებელია განსაკუთრებით ფრთხილი გახურების დროსაც კი; მაგრამ აგურის ეს ზრდა გამოიწვევს მხოლოდ აგურებს შორის ნაკერების მეტად შემჭიდროებას და იმ ხვრელების ამოვსებას, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით დატოვებულია

აგურის წყობაში (ამ ხვრელებში აწყობენ თხელ ფირფიტებს, რომლებიც გახურების დროს ამოიწვება).

მარტენის ღუმელის გახურების ნორმალურ ხანგძლივობად უნდა ჩაითვალოს:

ა) ღუმელის ზემონაწილების ცივი რემონტის შემდეგ $4\frac{1}{2}$ —5 დღე-ღამე;

ბ) ღუმელის რემონტის შემდეგ ნაწყობების გაშოცვლით 6 დღემდე;

გ) ახლად აგებული ღუმელისთვის (ან კაპიტალურ-ალდგენითი რემონტის შემდეგ) 12—14 დღე-ღამე.


გახურების წესი სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ რით ხურდება ღუმელი, აირით, თუ თხიადი საწვავით.

თუ ღუმელი ხურდება აირით, მაშინ 40—48 საათის განმავლობაში ღუმელს ახურებენ შეშით ან ნახშირით და ამის შეზღვევა შეუშევებენ აირს. ახლად აშენებული ღუმელისათვის ან კაპიტალურ-ალდგენითი რემონტიდან გამოსული ღუმელისათვის (როდესაც გამოიცვალა კამერების კედლები და წითელი აგურის წყობის ნაწილები) შეშით ან ნახშირით გახურება ჟურო ხანგძლივი უნდა იყოს—7 დღემდე.

შეშით გახურება მიმდინარეობს ასეთი მიმდევრობით: ჯერ ღუმელის ფსკერზე აანთებენ სამ პატარა კოცონს (ჩასაყრელი ფანჯრების გასწვრივ) და ერთნაირ დონეზე ამყოფებენ მათ დაახლოებით ორი ცვლის განმავლობაში; ამის შემდეგ კოცონებს შორის შუალედებს თანდაონობით ამოავსებენ შეშით და შეოთხე ცვლისათვის წვას მიიღებენ მთელ ფსკერზე. აირის შეშვების წინ ღუმელში ცეცხლს აძლიერებენ და ხმელ შეშებს ყრიან იმ ფანჯრის მახლობლად, საიდანაც უნდა აირი შეუშვან, რათა გაადვილდეს აირის აალება.

თუ ღუმელი ნახშირით უნდა გახურდეს, მაშინ ჩასაყრელი ფანჯრების ზღურბლებზე აწყობენ დროებით ცეცხლრიების ცხრილებს, რომელიც ხდება ნახშირის წვა. რომ დაიცვან ჩასაყრელი ფანჯრების თაღები მეტის-მეტი გახურებისაგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აგურებში ნაპრალები, ამ თაღების ქვემოდ აშენებენ დროებით თაღებს შამოტის აგურისაგან.


თუ ღუმელთან მიყვანილია კოქსვის აირი, მაშინ შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს შეშის ან ნახშირის ხარჯი ღუმელის გახურებაზე შემდეგი მოწყობილობის გამოყენებით (სურ. 1).



სურ. 1

კოქსვის აირის აირსაღენიდან მოჰყავთ 4"-იანი გან-შტოვება, რომელსაც მიუერთებენ კოქსვის აირის სანთუ-რას, როგორც ეს ნაჩვენებია სურ. 1 ა-ზე; ამ სანთურას საქმინი ჩასაყრელი ფანჯრების ზღურბლებზე შედის ღუ-მელის შიგნით. თუ იხმარება ასეთი სანთურა; მაშინ სა-კმარისია ღუმელის ხურება: შეშით ან ნახშირით პირველი 5—6 საათის განმავლობაში; შემდეგ შეუერთებენ სან-თურას და გაუშვებენ კოქსვის აირს, მხოლოდ მის მიწო-დებას არეგულირებენ ვენტილებით იმგვარად, რომ კამა-რა ყველა ნაწილებში ერთნაირად ხურდებოდეს (კამარის

განურების კონტროლის შესახებ იხ. შემდეგ). გენერატორის აირის შეშვების წინ ხელახლა შეაყრიან შეშას 2–3 საათის განმავლობაში. აირის შეშვების შემდეგ სანთურას ხსნიან უდა აირსადენის თავისუფალ ბოლოზე აყენებენ მაყუჩს.




სურ. 1а

თუ ღუმელი ხურდება მაზუთით, მაშინ საკმარისია მისი განურება შეშით ორი ცვლის განმავლობაში, რის შემთევეგაც შეიძლება გაიშვას მაზუთის ფრქვევანები. ფრქვევანების უფრო იდრე გაშვება სახიფათოა, რადგან შეიძლება ამან გამოიწვიოს ღუმელის თალის დაზიანება (თალის აგურების ასკდომა).

როგორი საშუალებითაც კი არ უნდა ხურდებოდეს ღუმელი; ბუცილებლად საჭიროა გულმოდგინედ ელევნოს თვალყური ზის მდგომარეობას. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ გაჩნდეს ნაპრალები ჩასაყრელი ფანჯრების თაღებზე ან მალებზე, და აგრეთვე იმას, რომ უკანა კედლის მაგნეზიტის აგურებს არ აემტვრეს კუთხეები; თუ ასეთი მოვლენების ნიშნები გამოჩნდა, უნდა შემცირდეს ცეცხლი: განსაკუთრებული ყურადღებით უნდა

უთვალთვალის თაღის მდგომარეობას, რადგან სწორედ ლუმელის თაღი წარმოადგენს იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე მეტად ზიანდება ლუმელის არაწესიერ გახურებისას. თაღის სათვალყურებლად მის სხვადასხვა აღგილას დაყენებული უნდა იქნეს რკინის ზოლაკები და ზედ ცარცით ალინიშნოს მომჭიმავი ჭანჭიკების მდებარეობა. ჭამარის ზრდის დროს ეს ზოლაკები ზევით აიწევს და ზედ გამოსახული ნიშნები ზუსტად გვიჩვენებენ, თუ რამდენად აიწია კამარამ აღებულ აღგილას (სურ. 2). კამარის მომჭიმავი ჭანჭიკები გახურების დროს თანდათან უნდა



სურ. 2

მოეშვას; იმ აღგილებში, საღაც კამარა აწევას იწყებს, ჭანჭიკები უფრო მეტად უნდა შორის.

თუ ლუმელის რემონტის დროს გამოიცვალა ფსკერის წყობა, მაშინ გახურების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ფსკერმა არ აიწიოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აწევა მოხდება, უნდა დაიწიოს ფსკერის აგურები თავის აღგილზე მძიმე სატკეპნის საშუალებით, ან, თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაშინ, ჩასაყრელი მან-

ქანის ლილვზე დასმული რაიმე შეიმე საგნის დარცყმებით.

ღუწელის გახურების დროს კონტროლი უნდა გაეწიოს ნაწყობების მდგომარეობასაც. როდესაც ნაწყობები იმდენად გახურდება, რომ ღურჯ შუშაში მათ ბაცი ქოლის ფერი ექიმი, შეიძლება შეუდგეთ ფსკერის დადუღებას.

ფსკერის მოვლა

1. ფსკერის ამოჭმა.

მარტენის ღუმელების ცივი რემონტის შემდეგ გახურების დროს საჭირო ხდება ფსკერის ზევითი ფენის ამოჭმა და დადუღება¹⁾.

ფსკერის ამოჭმა სწარმოებს სილით, დრნასის ფხვნილით (ან დინასის აგურის ნამტვრევებით), ფლუორშპატით, ხენჯით და თუჯით.

თუჯი იხმარება იმ შემთხვევაში, როცა ფსკერზე არსებობს „თხები“—წინა დნობის ლითონის ნარჩენები. კარგ შედეგებს იძლევა თუჯის შეცვლა თუჯის ბურბუშელით: ბურბუშელა უფრო სწრაფად დნება და თან თუჯზე იაფიცაა. ფსკერის ამოჭმის ასაჩქარებლად საჭიროა:

1) ღუმელში იყოს ძლიერი სიცხე, თითქმის ისე-თივე, როგორც დნობის გამოშვების დროს;

2) როცა ფსკერი გარბილდება, ბორცვები მოიმსხვერეს შებებით და მოიფხიჯოს რკინის საფხეცებით;

3) წილა იყოს თხევადი, რისთვისაც გამოყენებული იქნეს სილა, დინასის ფხვნილი, ხენჯი ან ფლუორშპატი;

1) კაპიტალურ-აღდგენითი რემონტების შემთხვევაში სცვლიან ფსკერის მოვლენისას და მაშინ საჭირო ხდება მთელი ფსკერის ხელ ახლა დადუღება.

4) ხშირად გამოიშვას ღუმელიდან წილა და შეიქმნას ახალი. ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წილის სქელი ფენის ქვეშ ფსკერი ძალიან ნელა ხურდება; ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ღუმელში ძალიან ბევრი წილა არ მოგროვდეს. წილა უნდა გამოიშვას ღუმელიდან დაახლოვებით $2-2\frac{1}{2}$ საათში ერთხელ.

ფსკერის ამოჭმის დროს ღუმელის გამოსაშვები ნახევრეტი უნდა დაცობული იყოს სილით ან გამოუწვავი დოლომიტით.

2. ფსკერის დადუღება

ფსკერის დადუღება შეიძლება ან მაგნეზიუმით, ან გამომწვარი დოლომიტით, ან მაგნეზიტისა და გამომწვარი დოლომიტის ნარევით; უფრო ხშირად იხმარება ასეთი ნარევები:

მაგნეზიტი — 1 წილი,

გამომწვარი დოლომიტი — 2 წილი;

ან

მაგნეზიტი — 1 წილი,

გამომწვარი დოლომიტი — 1 წილი.

ფსკერის დადუღების დაწყება შეიძლება მაშინ, როდესაც ნაწყობი გახურდება ნათელ-ეოლისფერამდე. თუ ფსკერის დადუღება სულ ახლად ხდება, ე. ი. აგურის წყობიდან იწყება, მაშინ იმის კარგ მაჩვენებლად, რომ ღუმელი საკმაოდ გახურდა ფსკერის დასადუღებლად, გამოდგება ფსკერის აგურებზე შემქნილი წილის წვეთების ბეჭვრიალის გამოჩენა. ახალი ფსკერის დადუღებისას საჭიროა პირველად აგურებზე დაიყაროს წმინდათ დაფხვნილი მარტენის წილის ფენი (ზოგზოგ ქარხნებში ფსკერის ახალ წყობაზე ღუმელის გახურების დაწყებამდე დატკეპნიან მადერის თხელ ფენს (დახლოვებით 15—20 სანტი-

შეტარს). მადერა წარმოადგენს სქელ მასას, რომელიც შესდგება მარცვლად დაფხვნილი გამომწვარი დოლომიტისაგან და ქვანახშირის ფისისაგან და რომელიც გახურებულია მისგან წყლის სრულად განდევნამდე). ეს წილა გადნება და გაუღენთავს მაგნეზიტის ფხვნილს, რომლითაც ამოვსებულია ფსკერის აგურების შორისი შუალედები; მაგნეზიტის ფხვნილი, წილით გაუღენთილი, უფრო აღვილად მიაღულდება და მკვიდრად შეაკავშირებს აგურებს: ფსკერის გაუღენთა წილით უნდა მოხდეს „უარამდე“, ე. ი. ისე რომ წილის შეწოვის შემდეგ ფსკერზე დარჩეს რამდენიმე ზედმეტი გამდნარი წილა. ეს ზედმეტი წილა უნდა საფხევებით გაიშხიოს ფერდობებზე. ამის შემდეგ შეუდგებიან ფსკერის დაღულებას. ჩვენ ცალკე განვიზილოთ ფსკერის დაღულება: ა) მაგნეზიტით, ბ) მაგნეზიტისა და გამომწვარი დოლომიტის ნარევით.

ა) ფსკერის დაღულება მაგნეზიტით

მაგნეზიტის დნობის ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ გარტენის ლუმელში სუფთა მაგნეზიტის დაღულება ვერ ხერხდება. მაგნეზიტში მარტენის წილის ჩამატება ნარევის დნობის ტემპერატურას აზაბლებს; ასეთი ნარევი უფრო ადვილად და უკეთესად დაადულდება, ვიდრე სუფთა მაგნეზიტი; ამის გამო მაგნეზიტის ფსკერის დაღულება შემდეგი წესით ხდება. მაგნეზიტის ფხვილს უმატებენ და ფქვილ მარტენის წილას (ფუძეს)¹⁾; დასამა-


¹⁾ არსებობს ორგვარი მარტენის ლუმელები: ფუძე ლუმელები რომლებშიაც ფსკერი გაკეთებულია მაგნეზიტისა ან დოლომიტისაგან; და მუავე ლუმელები, რომლებშიაც ფსკერი კეთდება ქვარცის სილისაგან. ამის მიხედვით გაიჩინევა მარტენის ფუძე და მუავე პროცესები და აგრეთვე მარტენის ფუძე და მუავე წილები.

ტებელი წილის რაოდენობა დაღულების პირველი ფენები-
 სათვის მაგნეზიტის $\frac{1}{4}$ ნაწილს შეადგენა (ე. ი. მაგნე-
 ზიტის 4 ნიჩაბზე ემატება ერთი ნიჩაბი წილა). ხოლო
 დაღულების შემდგომი ფენებისათვის წილის რაოდენობას
 თანდათან ამცირებენ; სულ ზემოთი ფენა შეიძლება
 დაღულდეს 5%, წილის დამატებით, ე. ი. წილის ნიჩაბზე
 მაგნეზიტის 20 ნიჩაბის მიცემით. მაგნეზიტისა და წილის
 ნარევს კარგად აურევენ ნიჩბით და დაყურიან-ფსკერზე თან-
 ბარ ფენად სისქითარა უმეტეს 15—20 მილიმეტრას თითო
 დაყრახე. შემდეგ აძლევენ დიდ სიცხეს, იმდენად დიდს,
 რამდენსაც გაუძლებს თალი და მალები. ღუმელის ძლიერი
 გახურება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყოველი
 ფსკერის კარგი დაღულებისათვის და განსაკუთრებით
 კი—მაგნეზიტის ფსკერისათვის საკიან საცხის შემთხვევაში
 15—20 მილიმეტრიანი შრე დააღულდება დაახლოებით
 4 საათში. როდესაც მაგნეზიტის შრე დააღულდება, ღუმელს
 იადნავ გააცივებენ აირის შემცირებით; მაშინ ცსკერი კეთ-
 დება მაგარი, გლუვი და რკინის კავი მასზე ისე სხლტება,
 როგორც შუშახე. ასეთი კავით ცდა საუკეთესო საშუალებას
 წარმოადგენს ფსკერის დაღულების ხარისხის შესამოწმებ-
 ლად; თუ კავი არა სხლტება ფსკერზე, არამედ მას სხიჩქნის;
 ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ შრე ჯერ საკმაოდ
 დაღულებული არაა და საჭიროა გახურება გაგრძელდეს
 უმეტესი სიცხით იმ დრომდე, სანამ კავით ცდა არ მოგვ-
 ცემს კარგ შედეგებს; ამის შემდეგ შეუდგებიან ახალი შრის
 დაყრას, ხელახლა მისცემენ სრულ აირს და ა. შ.¹⁾.

ზოგი ქარხნები მაგნეზიტის ფხვნილს სცრიან და და-
 დგლების ქვემო შრეებისათვის ხვარობენ ყველაზე მსხვილ

1) ფსკერს დაღულების ხარისხი შეიძლება შემოწმდეს კავით-
 ლუმელის გაუცივებლადაც; კარგი დაღულების უტყუარი ნიშა-
 ნია დაღულებული შრის მიგრობა კავში:

ფხვნილს, ხოლო ზემო შრეებისთვის კი უფრო წმინდას. აქას გარდა, ზოგჯერ იყენებენ ფსკერის თითოეული შრის



სურ. 3

დატკეპნას დადუღების შემდეგ. სატკეპნი, რომელიც ამ მიზნისათვის არის გამოკენებული, გამოხატულია სურ. 3-ზე.

ბ) ფსკერის დადუღება მაგნეზიტისა და გამომწვარი დოლომიტის ნარევით

ფსკერის დასადუღებლად უნდა ვინაროთ მხოლოდ ახლად გამომწვარი დოლომიტი, რადგან შენახული გამომწვარი დოლომიტი ჰაერის სინესტისაგან იშლება, მეტადრე ზაფხულში, და იქცევა ფხვნილად. ახლად გამომწვარი დოლომიტიდან აირჩევენ ყველაზე მეტად გამომწვარ ნატეხებს, რომელზედაც ნაპირები ცოტად შედნობილიც კია, და ასეთ დოლომიტს დაფხვნიან ფსკერის დასადუღებლად; ნაფხვენების სიდიდე ჩვეულებრივად 6—10 მმ-ია.

მაგნეზიტის და დოლომიტის ნარევს (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეიძლება ავილოთ 1 წილი მაგნეზიტი და 2 წილი დოლომიტი, ან 1 წილი მაგნეზიტი და 1 წილი დოლომიტი) კარგად აურევენ გადანიჩვით ორჯერ შეაინც. ამ ნარევში ჩვეულებრივად წიდას არ უმატებენ; ამის მაგიერ ახდენენ თითოეული შრის გაწიდი-

აწებას დადუღების-შემდეგ, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები. გაწილიანების მიზანია ამ შემთხვევაში, ისე როგორც წინანდელშიაც, დადუღების გააღვილება და ფსკერის მდგრადობის გაუმჯობესება.

დადუღება მიმდინარეობს ასეთი წესრიგით. ჩვეულებრივად ფსკერზე დაყრა ხდება ცვლაში ერთხელ — დაახლოვებით ცვლის შუა დროს. ერთ დაყრაზე შრის სისტემა არ უნდა აღემატებოდეს 20 მილიმეტრს. შემდეგი ცვლის დასაწყისში შრე უკვე კარგად იქნება დადუღებული, რაშიაც დავრწმუნდებით კავის ცდით. ამის შემდეგ ფსკერზე დააყრიან ფურქე მარტენის წილის შრეს, ისე რომ მასი რაოდენობა შეადგენდეს დაახლოებით 15%ს ერთ ჯერად დაყრილი მაგნეზიტის და დოლომიტის ნარევის რაოდენობისას. წილა დნება და უღენთავს ფსკერს. როცა წილა შეიწოვება, დააყრიან მაგნეზიტის და დოლომიტის შემჭრომ შრეს, და ა. შ. დაყრის დროს აირს ჰკეტავენ, რომ უკვეთსად ჩანდეს ფსკერი, ხოლო შემდეგ ისევ სრულად უშვებენ აირს.

თუ რა დონემდე უნდა ამაღლდეს ფსკერი, ეს ირკვევა გამოსაშვები ნახვრეტის დონის მიხედვით. როდესაც ფსკერის დონე დაუახლოვდება გამოსაშვებ ნახვრეტს, ნახვრეტს გასტენავენ (ნახვრეტის გატენის შესახებ იხ. შემდეგ — თავში გამოსაშვები ნახვრეტის მოვლის შესახებ) და ფსკერის დონეს აამაღლებენ იქამდე, სანამ ფსკერის შუაგული არ მიაღწევს, გამოსაშვები ნახვრეტის დონეს. ამის შემდეგ შუაგულში აღარ უნდა დაყრა და მხოლოდ აბაზანის ფერდობებს უნდა მიეცეს შესაფერი დახრილობა, რომ მათზე ლითონი არ რჩებოდეს. რომ ფსკერზე გამდნარი წილა არ ჩაიღვაროს გამოსაშვებ ნახვრეტში, ამ ნახვრეტს დახურავენ ნედლი დოლომიტით (იხ. თავი გამოსაშვება ნახვრეტის შესახებ). საჭიროა გამოსაშვები

ნახვრეტის დროგამოშვებით გახსნა, რომ ნახვრეტის მიხედვით შემოწმდეს ფსკერის დონე. ფსკერის დონის შემოწმება ნახვრეტის მიხედვით ყველაზე მოხერხებულად ხდება სასხამი არხის მხრიდან. ლია ნახვრეტში შესდებენ გელას ან ძალაყინს ისე, რომ მისი ბოლო გაშვერილი იყოს ღუმელის შიგნით; ძალაყინისა და ფსკერის შორის მანძილი გვიჩვენებს რამდენად უნდა ამაღლდეს ფსკერი.

დაღულებული ფსკერის მთელი სისქე არის დაახლოებით 150 მმ. ახალი ფსკერის დაღულება გრძელდება ჩვეულებრივად 8—9 ცვლას.

როდესაც ფსკერის და ფერდობების დაღულება დამთავრდება, წილით ახალი ფსკერის სრულად გაულენთვის მიზნით უნდა მოხდეს წილური დნობა, ე. ი. ღომელში ჩაიყაროს 5—7 ტონა (ღუმელის სიღილის მიხედვით) სუფთა ფუძე მარტენის წილა (სკრაპის მიუყოლებლად). წილის ნატეხები არ უნდა აღემატებოდეს 150 მმ, რომ გადნობა ადვილი იყოს. როცა წილა გადნება, მას საფხეკებით გაშეეფავენ მთელ ფსკერზე და ფერდობებზე და ცდილობენ, რომ რაც შეიძლება სრულად დაფარონ ისინი წილით, და შემდეგ წილის ნარჩენს ღუმელიდან გამოუშვებენ გამოსაშვებ ნახვრეტში. წილური დნობა გრძელდება დაახლოვებით 4 საათი.

წილური დნობის გამოშვების შემდეგ ღუმელს სწრაფად აცივებენ, რისთვისაც ჰეტარვას გენერატორებზე (ან ფრენებზებს) და ჰაერს 10—15 წუთით და ახდიან სახურავებს; შეიძლება აგრეთვე რამდენჯერმე გადაიგდოს გადასაყვანი სარქველები. ამის შემდეგ ხელახლა გაუშვებენ აირს და ჰაერს და იწყებენ ჩატვირთვეს. ღუმელის გაცივების მიზანი მდგომარეობს შემდეგში. წილური დნობის შემდეგ ფსკერი რბილდება, ცოშისმაგვარი ხდება, ასეთ ფსკერზე თუ მოგახდინეთ ჩატვირთვა,

ნატეხების დარტყმამ შეიძლება ფსკერს მიაყენოს საგრძნობი დაზიანება, შეიძლება მოგლიჯოს კიდეც დანაღულის ნაწილი. ამისათვის საჭიროა ჩაყრის წინ ფსკერი ვაცივდეს. რათა ის გამაგრდეს.

ჩვენ განვიხილეთ ახალი ფსკერის დაღულება აგურის წყობიდან დაწყებული, მაგრამ პრაქტიკაში უფრო ხშირად ფსკერს სტოვებენ ღუმელის შემდგომი კამპანიისათვის; ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ფსკერის მხოლოდ ზემოთი შრის ამოჭმა და დაღულება. მაგრამ, რადგან ფსკერის ამოჭმა ხშირად მოითხოვს საქმაოდ დიდ დროს (თუ ფსკერზე დარჩა დიდი „თხები“ წინა კამპანიიდან), ამიტომ შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი საჩქარო ხერხი: ფსკერის ამოჭმასთან ერთად შესწორდეს ღუმელის ფერდობები და, როდესაც ეს ფერდობები მზად იქნება, შეწყდეს ამოჭმა და ჩატარდეს დნობა შემცირებული ტონაჟით და კაზმში თუჯის დიდი შეცულობით. ასეთი დნობა ჩვეულებრივ ამოჭმაზე უფრო სწრაფად შესჭამს ფსკერზე თხებს. ამ დნობის ვამოშვების შემდეგ უნდა დაეყაროს და დააღულდეს ფსკერის ზემოთი შრე (რისთვისაც საკმარისია ერთი ცვლა) და დაიწყოს ნორმალური. მუშაობა. ამ შემთხვევაში ფსკერის დაღულების შემდეგ წილური დნობის ჩატარება საჭირო აღარაა, რადგან უნდა დააღულდეს მხოლოდ ზემოთი შრე, ხოლო ძვილი ფსკერი საკმაოდ გაულენთილია წილით.

3. ფსკერის ფასიერ გდგომარეობაში დაცვა

არსებობს ფსკერის დაზიანების ორი სახე:

- ფსკერის ამოზრდა;
- ფსკერის ამოჭმა.

ჩვენ ცალკეულად განვიხილავთ ფსკერის ღაზიანების
თითოეულ ამ სახეს, ამ ღაზიანებათა თავიდან ასაცილებელ
წინასწარ ზომებს და ფსკერის გამოსასწორებელ საშუა-
ლებებს.

ა) ფსკერის ამოზრდა

ფსკერის ამოზრდა გამოიხატება ფსკერის დონის
აშალლებაში კირქვის ან კირის და აგრეთვე შესაბავებელი
მასალების მიღულების შედეგად. ეს მოვლენა გამოწვეუ-
ლია შემდეგი მიზეზებით:

1) კირქვის ან კირის ჩაყრით უშუალოდ ფსკერზე,
რასაც ყოველთვის უნდა ვერიდოთ, რადგან კირქვისაგან
კირის ნაწილი ვერ მოასწრებს გადნობას. და დარჩება
ფსკერზე;

2) ღუმელის წინა და უკანა კედლის დაუხელოვნებუ-
ლი გაწყობით. ზოგჯერ ჩასაყრელი ფანჯრების შორისი
შუაკედლისეპის ფერდობების გაწყობა. სრულდება გადა-
ჟარბებულად დიდი რაოდენობის დოლომიტით; დოლო-
მიტის ნაწილი რჩება ფსკერზე და მას მიაღულდება. ამას
გარდა, ძალიან ხშირად, ღუმელის გამოწყობი ბრიგა-
დის არასაკმაო გამოცთალების შემთხვევაში, უკანა კედ-
ლის ფერდობზე ტყორცნილი დოლომიტი ვერ აღწევს
ფერდობის წილით ამოჭმის ხასს და ვარდება ფსკერზე.
და ბოლოს ფსკერის ამოზრდის ერთ-ერთ უმთავრეს
მიზეზს წარმოადგენს;

3) ჩასაყრელი ფანჯრების ზღურბლების უწესო
მოვლა. თუ ჩასაყრელი ფანჯრების ზღურბლები
არ სულთავდება ყოველ დნობის შემდეგ, მაშინ ჩაყრის
დროს დოლომიტი ზღურბლებითან ჩაცვივდება ფსკერზე
მულდებისის მოხვედრის გამო და ძალიან ხშირად ამ მიზე-

ჭის გამო ფსკერის ამოზრდა იწყება სწორედ ჩასაყრელი ფანჯრების უკან.

თუ ღუმელს წესიერი მოვლა არ ექნება, ფსკერის ამოზრდამ იქნება. მიგვიყვანოს იქამდე, რომ ღუმელის ფსკე რი აღმოჩნდება ჩასაყრელი ფანჯრების ზღურბლების დონეზე; ამ შემთხვევაში ლითონი შეიკავება ღუმელში მხოლოდ ზღურბლების მეტად მაღალი დაყრით. გასაგებია, რომ ფსკერის ასეთი მდგომარეობა ფრიად სახიფათოა, ჯერ ერთი იმის გამო, რომ შეიძლება ლითონმა გადმოხეთქოს ზღურბლები და გადმოიღვაროს სამუშაო მოედანზე; მეორე კიდევ, ფსკერის ამოზრდისას და, მაუსადამე, აბაზანის დონის ამსალებისას, ღუმელის სამუშაო: სივრცეში ცოტა ადგილი დარჩება ალის გასავლელად; ალი მიდის ძალიან მაღლა, თვით კამარასთან, რის გამოც მატულობს კამარის შემოღნობა. მესამე კიდევ, აბაზანის ძალიან მაღალი დონის შემთხვევაში წილა და ლითონი შეიძლება შეიღვაროს აირის ფანჯრებში (მეტადრე მბორგავი დუღილის დროს) და იქიდან საწიდარებში და ნაწყობების ქვეშ რასაც შეუძლია გამოიწვიოს ღუმელის ნაადრევი გაჩერება სარემონტოდ. ამას გარდა ფსკერის ამოზრდას აქვს კიდევ ერთი არასასურველი შედეგი: ფსკერზე შექმნილი ბორცვები გამოსაშვები ნახვრეტის მარჯვნივ და მირცხნივ აკავებენ ლითონის გუბეფბს დნობის გამოშვების დროს და ეს გუბეები კი ხელს უწყობენ ფსკერზე ორმოების შექმნას (იხ. შემდეგ).


ფსკერის ამოზრდის მიზეზების განხილვიდან გამომდინარეობს ამ მოვლენასთან საბრძოლად შემდეგი ლონისძიებანი:

1) არ დაიყაროს კირქვა ან კირი უშუალოდ ფსკერზე. ფსკერზე უნდა დაიყაროს რკინის ლეჭი; ხოლო თუ კაზმში შესდგება მხოლოდ თუჯისაგან (ეგრედწოდებული მაღნუ-

რი პროცესი), მაშინ ტემპერატურისა ფსკერზე დაიყაროს თანა-
ბარ შრედ წმინდა რკინის მაღნის ცოტაოდენი რაოდე-
ნობა, მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიყაროს კირქვა ან კირი
ლა დანარჩენი მაღანი.

2) ლუმელის გაწყობაზე არ იქნენ დაშვებული არა
საქმიალ ნასჭავლი მაგორავები. შეიძლება შემოლებული
იქნეს ლუმელის გასაწყობად განსაკუთრებული ბრიგადის
შექმნა. ასეთი ბრიგადა, ვინაიდან მხოლოდ ამ საქმეზე
იმუშავებს, შეიძენს საჭირო გამოცდილებას ლუმელების
გაწყობაში, რის გამო გაწყობის ხარისხი ჰაგრძნობლად
გაუმჯობესდება, გაწყობის ხანგძლივობა შემოკლდება და
აგრეთვე შესახავებელი მასალების ხარჯიც შემცირდება.

3) როცა აბაზანის მბორგავი დულილი შეწყდება
და აბაზანა ჩაჯდება ნორმალურ დონემდე, ჩაორიწმინდოს
ზღურბლების ზემო ნაწილი, ხოლო დნობის გამოშეების
შემდეგ ჩამოიწმინდოს ზღურბლების დანარჩენი ნაწილიც.




სურ. 4

ზოლომდე. ძალიან გამოსადეგია ზღურბლების საწმენდად
სხმული ფოლადის საფხევი, რომელიც მაგრდება ჩასაყ-
რელი მანქანის ლილვზე (სურ 4). ზღურბლებიდან ჩამო-

ფხევებილი გავარეარებული დოლოშინტი საჭიროა შაშინვე მოშორდეს ზღურბლებს, რომ მან არ შეაფეროს ფსკერის გასინჯვა და ღუმელთან სხვა სამუშაოები.

თუ ეს გამაფრთხილებელი ზომები დროზე არ იყო მიღებული და ფსკერმა ამოზრდა დაიწეო, მაშინ ასეთი ფსკერის შესასწორებლად უნდა მიღებული იქნეს შემდეგი ზომები:

1) დნობის გამოშვების შემდეგ მოიფხიკოს ფსკერზე არსებული ბორცვები რკინის საფხექებით (სურ. 5). — ამ ჩასაყრელი მანქანით ზემოთ ხსენებული საფხეკის (სურ. 4)



სურ. 5

შემწეობით; ამ უკანასკნელით განსაკუთრებით მოსახერებელია იმ ბორცვების მოფხევა, რომლებიც ჩასაყრელი ფანჯრების უკან არიან.

2) ყოველი ჩაყრის წინ ფსკერის ბორცვებს მოეყაროს სილა ან წვრილი რკინის მაღანი.

3) შემცირდეს წინა და უკანა კედლების გაწყობა.

4) ფსკერის მეტისმეტი ამოზრდის შემთხვევა ში სილის ან რკინის მაღნის ზემოდან რკინის ლეწის მაგიერდაიყაროს თუჭი.

ბ) ფსკერის ამოჭმა (ორმოები)

ფსკერის ამოჭმა, რასაც მოჰყვება ორმოების შექმნა, შეიძლება მოხდეს შემდეგი მიზეზების გამო:

1) ფსკერის ცუდი დადუღების გამო (ჩვეულებრივად თუ დადუღება ხდებოდა არა საკმაოდ მაღალ ტემპერატურაზე);

2) რკინის ჭუჭყანი ლეჭის გამო, როდესაც ის შეიცავს ბევრ სილას, ჟანგს, ან სკრაპის გამო, რომელშიაც ჩარჩენილია სიფონის აგურის ნაშთები;

3) დადუღების ნაწილის აგლეჯის გამო, რაც გამოწვეულია ჩაყრის დროს რკინის ლეჭის მძიმე ნატეხების დარტყმებით;

4) დინასის აგურებისაგან, რომლებიც ცვივდება ფსკერზე ცხელი რემონტის დროს, თუ ფსკერი არაფრით არ იყო დაცული;

5) სილიციუმის მეტად მაღალი შეცულობის გამო ორჯში;

6) მზა დნობის ღუმელში ხანგრძლივი დაყოვნების გამო, რაც შეიძლება, მაგალბთად, გამოიწვიოს არხის მომზადების დაგვიანებამ.

დადუღების ამოჭმის გამო ფსკერზე შეიქმნება ორმოები, ე. ი. ჩალრშავებები, რომლებშიაც დნობის გამოშვების შემდეგ რჩება ლითონის ნაწილი. ალის მოქმედებით ეს ლითონი იყრნგება¹⁾. თუ არ ამოვლვრით ლითონს ორმოდან, ის შეერნავს ფსკერის დადუღების სიღრმეში. შემდეგი დნუბის დროს აბაზანის ლითონი მოდის ურთიერთქმედებაში ამ დაუანგულ ლითონთან, რომელიც წინანდელი ორმოდან შეიქმნება აირი — ნახშირქვეუანგი; ამ აირის გამოყოფა იწვევს ლითონის ძლიერ ჩუხჩუხს ფსკერთან, რის შედეგად და-

¹⁾ დაუანგა — წარმოადგენს ლითონის შეერთებას უანგბადთან (რომელიც იმყოფება ნაოტენის ღუმელის ალში).

დუღებას აეგლიჯება ნატეხები იმ ადგილებში, სადაც შეიქონა დაუანგული ლითონი 1). ამგვარად, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზოშები ორმოს ამოსაწმენდად და ამოსავ-სებად, ის თანდათან გაღრმავდება და შეიძლება მიაღ-წიოს ფსკერის აგურის წყობას და გამოიწვიოს ლითო-ნის გაღვრაც კი ფსკერის განგმირ. ასეთ ავარიას თით-ქმის ყოველთვის მოსდევს ფრიად სერიოზული შედეგები— ლითონის ჩაღვრა ნაწყობებში, საწილარებში და გადასაყვან ხელსაწყობებში, რასაც ხანგძლივად გამოჰკავს ღუმელი მწყობრიდან. ამიტომ საჭიროა ფსკერზე პატარა ორმო-ების მოსპობა, რითაც ხელი შეეშლება დიდი ორმოების შექმნას.

თუ ფსკერს შესაფერი მოვლა ექნება, შეიძლება თი-თქმის სრულიად იქნეს თავიდან აცილებული ორმოების შექმნა. ამ მხრივ საჭირო გამაფრთხილებელი ზომები შემდეგია:

1. ყველაზე არსებითი საშუალება ორმოების წინა-აშლდეგ—ეს, რასაცირკელია, არის ფსკერის კარგი დადუ-ლება (იხ. ზემოთ).
2. ჩაყრის წინ ფსკერი უნდა შეცივდეს (იხ. გვ. 16).
3. ფსკერზე უნდა დაიყაროს სუფთა ლეწი. არავი-თარ შემთხვევაში არ უნდა დაიყაროს ფსკერზე სკრაპი სიფონის აგურების ნარჩენებით, ან დაუანგული ბურბუ-შელა, ან პაკეტები გაჭუჭყიანებული ლეწით.
4. თუ ლითონის გამოშვების შემდეგ ფსკერზე აღმოჩნდება ბორცვები, რომლის უკან დარჩება ლითო-

1) ამის გამო ფსკერისათვის ძალიან სახითათა დწ. აბის მიყ-ვანა იმ მდგომარეობამდე, როდესაც ის შესწყვეტს დუღილს და იწყებს დაუანგვას (მაგალითად, დნობის გამოშვების რაიმე დაყოფ-ნებისას). ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევებში წლება დადუღების წა-წილის აგლევა.

ნის გუბეები, ეს ბორცვები უნდა მოიფხიკოს, როგორც
ეს აღნიშნული იყო 21 გვერდზე.

ეხლა განვიხილოთ ორმოების გაწმენდის და გას-
წორების ხერხები, თუ ისინი მაინც გაჩნდა ფსკერის
არასაკმაოდ კარგი მოვლის გამო.

ლითონის გამოშვების შემდეგ უნდა გულმოდგი-
ნედ დათვალიერდეს ფსკერი; ამისათვის უნდა გადაირ-
თვას აირი, რადგან აირის წვის დროს ფსკერი არა ჩანს.
ორმოს სიღილის და მისი მდებარეობის მიხედვით,
გაწმენდა შეიძლება შესრულდეს ღუმელის მუშაობის
დროს და მისი გაჩერებისას ¹⁾). რასაკირველია, უფრო
სასურველია ორმოს გაწმენდა ღუმელის მუშაობისას,
ე. ი. ღრიის იმ შუალედის განმავლობაში, რომელიც
ჩვეულებრივად განკუთვნილია ღუმელის გაწყობისათვის
(ან ღუმელის გაწყობის ხანის ცოტაოდენი გადიდებით,
მაგალითად 1 საათამდე). ორმოებიდან ლითონის ამოღვ-
რა ხდება ნის სახვეტებით (სურ. 6). რომ სახვეტი ჩასწვდეს




სურ. 6

ორმოს ფსკერს, ორმოს ამოღვრის ჭინ სახვეტის ტარს
ცოტად მოღუნავენ (სურ. 7). სახვეტით მუშაობს 4—5
კაცი (მდნობელი, მდნობელის თანაშემწეები და მაგორა-
ვები). მათ შორის უფროსს უჭირავს სახვეტის ყური და
სახვეტს ისე მიმართავს, რომ ლითონი წავიდეს გამოსა-

¹⁾ ღუმელის გაჩერების ქვეშ აქ იგულისხმება ცხელი გაჩერება.

შვებ ნახვრეტში. სახვეტით მუშაობა ენერგიულად უნდა სრულდებოდეს, ძლიერი დარტყმები ერთი მეორეს უნდა მისდევდეს და თან აირის მიწოდება არ უნდა შემცირდეს; თუ ეს მუშაობა საქმაო სისწრაფით არ შესრულდა; შეიძლება ორმოში ლითონი დაიჯანგოს და ასეთი ლითონის მოშორება კი ძნელია, რადგან ის იყინება გამო.



სურ. 7

საშვებ ნახვრეტში. თუ ერთი სახვეტით ორმოში ლითონი მთლიანად ვერ ამოიწმინდა (სახვეტი დაიწვა, ან მისი ტარი გახურდა და მოიღუნა, ან სახვეტი მოვარდა ტარს), იღებენ მეორე სახვეტს და ა. შ., სანამ ორმო არ ამოიწმინდება ძირამდე. თუ ორმო მთლიანად არ ამოიწმინდა, ასეთი ამოწმენდა არავითარ შედეგს არ მოგვცემს: შემდეგი დნობის დროს ორმოში დარჩენილი ლითონი ურთიერთქმედებაში მოვა ახლად გადნობილ ლითონთან (იხ. ზემოთ) და ასწევს ორმოში ჩაყრილ ღოლომიტს. ამიტომ საჭიროა, რომ ღუმელთან იყოს წინასწარ დამზადებული სახვეტების საკმაო მარაგი. მეორე პირობა იმისათვის, რომ ორმოს ამოწმენდა ღუმელის

შუშაობის დროს შესაძლებელი იყოს, ეს არის გამოსა-
შვები ნახვრეტის წესიერი მდგომარეობა: თუ გამოსა-
შვები ნახვრეტი დაუდევარი მოვლის გაშო ძალიან ვი-
წროა (იხ. შემდეგ —თავი გამოსაშვები ნახვრეტის მო-
ვლის შესახებ), მაშინ ასეთ ნახვრეტში შეიძლება ორმოს
ამოწმენდის დროს გაიყინოს ლითონი, რაც გამოიწვევს
ღუშელის გაჩერებას. საერთოდ გამოსაშვები ნახვრეტის
კარგი მდგომარეობის დროსაც კი, თუ ორმოს ამოწმენ-
და ღუშელის გაუჩერებლად ხდება, სპეიროა დაცული
იყოს ასეთი წესრიგი: მდინობელის პირველი თანაშემწე
არ უნდა იღებდეს მონაწილეობას სახვეტით მუშაობაში,
ის სულ მუდამ უნდა იყოს ღუშელის უკან გამოსაშვებ
ნახვრეტთან და ასუფთავებულს მას (იხ. შემდეგ —თავი
გამოსაშვები ნახვრეტის შესახებ).

ორმოს მდებარეობისა და სიდიდის მიხედვით სა-
ხვეტი შეიყოფა ან ღუშელის შუალა ფანჯარაში, ან მა-
რჯვენა ან მარცხენა ფანჯარაში, ან ორ და ზოგჯერ
სამივე ფანჯარაში ერთდროულად (შედარებით დიდი
ორმოების შემთხვევებში). აქ შეიძლება გავარჩიოთ შე-
მდეგი შემთხვევები:

ა) ორმო ფსკერის შუაშია. სახვეტები შეიყოფა შუა-
ფანჯარაში.

ბ) ორმო შუაშია და გვერდისაკენ. ამ შემთხვევები.
უმჯობესია ორმოს გაწმენდა დავიწყოთ შუიდან, რა-
დგან ხშირად ხდება, რომ ფსკერის შუაგულიდან ლი-
თონის ამოღვრისას მის მარჯვნივ ან მარცხნივ დარჩენი-
ლი ლითონი თავისთავად ჩაიღვრება შუაგულისაკენ. ხო-
ლო თუ ასეთი თავისი ჩაღვრია არ მოხდება, მაშინ საჭ-
ჭაროა სახვეტი შეიყოს არა მარტო შუალა ფანჯარაში,
არამედ საონადო გვერდით ფანჯარაშიაც და აჩვარდეს
ლითონის გადმოღვრა გვერდითი ორმოდან.

გ) ორმო ან მარჯვენა ან მარცხენა მხარესაა. სა-
ხეობი შეიყოვა სათანადო გვერდით ფანჯარაში. ხშირად
ასეთ გვერდით ორმოების შემთხვევაში სინამდვილე-
ში ჩენ გვაქვს არა ორმოები, ე. ი. ფსკერის ამონაჭმები;
არამედ ფსკერზე დარჩენილი ლითონის გუბეები გამოსა-
შვები ნახვრეტის მარჯვნივ ან მარცხნივ შექმნილი ბორ-
ცვების გამო. ამ შემთხვევაში, ხის სახვეტის ხმარებამდე,
ჯერ საჭიროა რკინის საფხევის საშუალებით მოიფხიკის
ბორცვი, რის შემდეგ ჩვეულებრივად ლითონი ჩაიღვრე-
ბა ფსკერის შუაგულში, საიდანაც მისი გაშეფვა ადვი-
ლია ხის სახვეტით.

დ). ორმოები ერთდროულად მარჯვენა მხარესაცაა
და მარცხენა მხარესაც. ასეთი ორმოების გაწმენდა ყვე-
ლაზე უფრო ძნელია. ასეთი ორმოები ჩვეულებრივად
იმის გამო შეიქმნება, რომ ღუმელის გაწყობისას ფსკე-
რის შუაგულს მეტი დაეყარა და ამიტომ ის ფსკერის
მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე მაღალი გამოვიდა.
ასეთი ორმოების გაწმენდა ღუმელის გაუჩერებლად სა-
ძნელოა, რადგან ფსკერის მაღალი შუაგული ხელს უშლის
ლითონის გაშეფვას ხის სახვეტებით გამოსაშვებ ნა-
ხვრეტისაკენ, მაგრამ თუ გვერდითი ორმოები ძალიან
ღრმა არ არის (რაშიაც შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ
ამ ორმოების სიღრმეს გავზომავთ კავით), მაშინ შეი-
ძლება მათი გაწმენდა ღუმელის გაუჩერებლადაც შემდე-
გი მიმდევრობის დაცვით: ჯერ გაიწმინდოს ერთს რო-
მელიმე მხარე (უნდა დავიწყოთ იმ მხრიდან, საღაც. ორ-
მო უფრო ღრმა), ამოივსოს ეს მხარე და შემდეგ გადა-
ვიდეთ მეორე მხარის გაწმენდაზე.

ე) ორმო მთელ ფსკერზეა. ასეთი ორმოები ძალი-
ან იშვიათად იწმინდება ღუმელის გაუჩერებლად, მაგრამ
თუ ორმო ღრმა არა და გამოსაშვები ნახვრეტი ჭარბ

მდგომარეობაშია, საჭიროა გაისინჯოს გაწმენდა ღუმელის გაუჩერებლად. მუშაობა უნდა შესრულდეს სამივე ფანჯარაში სამი სახვეტის ერთდროული გამოყენებით.

ვ) მცირე ორმოა გამოსაშვებ ნახვრეტთან. ასეთ ორმოში სახვეტი ჩვეულებრივ მდებარეობაში არ ჩადის; მისი გაწმენდა უნდა მოხდეს სახვეტის ყირაზე დაყენებით.

ზ) ორმო ფერდობზეა. ამ შემთხვევაში ლითონის გაშეცვა გამოსაშვებ ნახვრეტში, რასაკვირველია, შეუძლებელია და მისი გამოლება უნდა მოხდეს რკინის სახვეტით ცომისმაგვარ მდგ ამარეობაში წინისაკენ, ე. ი. ფანჯრის ზღურბლზე გადმოყორებით. სამუშაო მოედანზე¹⁾. შემდეგ, თუ ფერდობზე ორმო ღრმა არაა, მას ამოავსებენ მაგნეზიტის ფხვნილით (უმჯობესია განსაკუთრებული კოვზის (სურ. 8) საშუალებით, ვიდრე ნიჩით, რადგან კოვზით უფრო ზუსტად დაიდება მაგნეზიტის ფხვნილი საჭირო ადგილზე) და დაადულებენ,



სურ. 8

ხოლო თუ ფერდობზე ორმო ღრმაა, მაშინ მის გამოსასწორებლად საჭირო ხდება ღუმელის გაჩერება რამდენიმე საათით; ასეთი ორმოს გამოსწორების საშუალება განხილული იქნები ქვევით.

ღუმელის გაუჩერებლად ორმოს წმენდის ყველა ჩამოვლილი საშუალებები გულისხმობენ ლითონის გა-

¹⁾ ორმოს ლითონის გაცამისმაგვარება ჩდება ორმოში რამდენიმე ნიჩაბი გამოუშვავი დოჭომიტის-ჩაყრით.

ლვრას გამოსაშვებ ნახვრეტში (გარდა ორმოებისა ფქრ-
 დობზე). ორმოდან ლითონის გაღვრის ეს საშუალება
 უნდა ჩაითვალოს ერთადერთ სწორ საშუალებად, რა კ-
 გ, ნ მხოლოდ ასეთი გზით მართლა მთლიანად შეიძლე-
 ბა ორმოს ამოწმენდა. მაგრამ არის შემთხვევა, პრაქტი-
 კაში საკმაოდ ხშირი, როდესაც საქმის აჩქარების მი-
 ზნით ორმოდან ლითონის ამოსალებად ხმ. რობენ სხვანა-
 ის ხერხს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პატარა ორმო-
 ებია ფსკერის ან მარჯვენა ან მარცხენა მხარეს გამოსა-
 შვებ ნახვრეტიდან ძალიან შორს. თუ ამ შემთხვევაში
 ორმოს გაწმენდას ვაწარმოებთ გვერდით ფანჯრიდან
 ხის სახვეტით გამოსაშვებ ნახვრეტისაკენ (როგორც აღ-
 ნიშნულია გ პუნქტში), მაშინ ლითონი დიდი მანძილის
 გამო ვერ შიაღწევს ნახვრეტს და დარჩება ფსკერის შუა-
 გულზე. აქედან კი ამ უკვე საქმაოდ დაუანგული და გა-
 ცივებული ლითონის გაშეფვა გამოსაშვებ ნახვრეტში
 აღარ შეიძლება, რადგან ამით შეიძლება გავყინოთ გა-
 მოსაშვები ნახვრეტი; თან ისიც უნდა ითქვას, რომ ცოტაო-
 დენი ლითონი, ფსკერის მთელ შუაგულზე გაშეფილი,
 არ წარმოადგენს არავითარ საფრთხეს. ამიტომ ორმოს
 ასეთი წესით გაწმენდის წინ ჯერ გამოაგსებენ გამოსა-
 შვებ ნახვრეტს და შემდეგ შეუდგებიან ორმოს ამოშეფ-
 ვას ფსკერის შუაგულზე; მუშაობის ასეთი წერხი გამო-
 საშვებ ნახვრეტს იცავს ფსკერის შუაგულიდან სქელი ლი-
 თონის ჩაღვრისაგან.

თუ გამოსაშვებ ნახვრეტიდან ძალიან დაშორებულ
 ორმოში ლითონი უფრო დიდი რაოდენობით იქნება,
 მაშინ შეიძლება კიდევ სხვანაირად მოვრჩეთ: გამოავსე-
 ბენ რა გამოსაშვებ ნახვრეტს, ორმოდან ლითონის ნა-
 წილს ამოღვრიან ხის სახვეტებით ფსკერის შუაგულზე,
 ხოლო ლითონის დანარჩენ ნაწილს კი ხის სახვეტებით

გაშეფავენ უკანა კედელზე. ორმ ლითონი უკანა კედლიდან ტკანვე ორმოში არ ჩამოიღვაროს, შუალა ფანჯრიდან სახვეტის ქვეშ ყრიან გამოუწვავ დოლომიტი; ლითონი ირევა დოლომიტში, სქელდება და რჩება უკანა კედლის ფერდობზე. ორმოს საპოლონოდ გასასუფთავებლად ლითონისაგან ამ უკანასკნელის ნაშთები ომროდან უნდა გადმოიღოს წინისენ ჩასაყრელი ფანჯრის ზღურბლზე გადმოჭანით. ლითონისაგან განთავისუფლების შემდეგ ორმო ამოივსება გამომწვარი დოლომიტით და მოხდება დაულება ჩვეულებრივი წესით.

გვერდითი პატარა ორმოების უკანა კედელზე გაწმენდის ეს ხერხი, თუმცა სავსებით წესიერი არაა, მაგრამ მაინც იძლევა საშუალებას, რომ ეს ორმოები სწრაფად ამოიწმინდოს; თუ მუშაობა გულმოდგინედ არის შესრულებული, ასეთი ხერხით შეკეთებული ფსკერი საკმაოდ დიდხანს ინახება.

ორმოების ამოწმენდის შემდეგ ხდება მათი ამოვსება გამომწვარი დოლომიტით, ან, თუ ორმოები დიდია, გამომწვარი დოლომიტის და ამავე რაოდენობის მაგნეზიტის ნარევით. ორმოების ამოვსების შემდეგ გადაჰყავთ აირი ისე, რომ ის მიღიოდეს იმ მხრიდან, საითურნაციურ თარი, ჩაყრას კი იწყებენ მოწინააღმდეგე მხრიდან, ხოლო გაწყობილ აღვილზე არა ყრიან 30—40 წუთის განმავლობაში, არამედ აწარმოებენ მის დადუღებას. ზოგჯერ (განსაკუთრებით ღრმა ორმოების შემთხვევაში) საჭირო ხდება ორმოს ამოვსება ორწილად; მაშინ საჭიროა, ჩაყრის დაუწყებლად, ღუმელის გახურება სრულ აირზე დაახლოვებით I საათის განშავლობაში.

რომ დავამთავროთ ღუმელის გაუჩერებლად ორმოების წმენდის საშუალებათა განხილვა, აღვნიშნოთ, რომ წმენდის შემდეგ, გამოსაშეები ნახვრეტის გამოვსების წინ,

რკინის საფხევით უნდა შოიფხიკოს ნახვრეტთან გასქე-
ლებული ლითონი და გაღმოლებულ იქნეს წინისკენ, რა-
თა არ შეიქმნას ზღურბლი გამოსაშვებ ნახვრეტთან (იხ. შემ-
დეგ თავი გამოსაშვები ნახვრეტის მოვლის შესახებ).

როგორც აღწერილიდან სჩანს, ორმოების წმენდა
ლუმელის გაუჩერებლად მოითხოვს ფრიად ენერგიულ შუ-
შაობას მცირე დროის განმავლობაში. ერთ ლუმელზე მო-
მუშავე ბრიგადა ყოველთვის დროზე ვერ შეასრულებს
ამ სამუშაოს, მეტადრე, თუ ორმოები დიდია. ამიტომ
ფრიად მიზანშეწონილი იქნება ისე მოეწყოს ფსკერის
წმენდა ლითონის გამოშვების შემდეგ, რომ ამ მეშაობა-
ში მანაწილეობას იღებდეს არამარტო ამ ლუმელის ბრი-
გადა, არამედ სხვა ლუმელების ბრიგადებიც; სხვა ლუმე-
ლებთან ამ დროის განმავლობაში (10 – 15 წუთი) შეიძლე-
ბა დაიტოვოს თითო კაცი აირის სათვალყურებლად.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ლუმელის გაუჩერებ-
ლად ხერხდება მხოლოდ შედარებით მცირე ზომის ორმო-
ების წმენდა, ხოლო თუ ორმო ძალიან დიდია, მაშინ
მისი ამოწმენდა ზემოთ აღწერილი გზახერხებით ვერ
მოხერხდება, რადგან ხანგრძლივი წმენდის დროს ლითო-
ნი დაიქანვება და გასქელდება, ასეთი ლითონის გაშე-
ფვა კი სახვეტების საშუალებით გამოსაშვებ ნახვრეტში
შეუძლებელი გახდება: ის გაცივდება ამ ნახვრეტში და
შეიძლება სულაც გაყინოს იგი. ამის გამო დიდი ორმო-
ების გამოწმენდა გვიხდება სხვა საშუალებებით, რომლე-
ბიც გამოიწვევენ ლუმელის მუშაობის შეწყვეტას ცოტა
თუ მეტი ხნით, ორმოების სიღიღის მიხედვით — ხან
რამდენიმე სათოთ, ხან მთელი ცვლით და ხან მეტითაც.

როცა ოსტატი დარწმუნდება, რომ ორმოს ამო-
წმენდა ლუმელის გაუჩერებლად ვერ მოხერხდება, ის
იძლევა განკარგულებას, რომ ამოლესონ გამოსაშვები

ნახვრეტი (იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ამოილესოს გამოსაშვები ნახვრეტი ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვილაპარაკებთ ცოტა ქვემოთ) და ღუმელში კი ჩაყრის იმდენ თუჯს, რომ ორმოში დარჩენილი ლითონი გამაგრდეს და ამგვარად მოესპოს მას დაქანგვის შესაძლებლივბა; ორმოს ზომების და ღუმელის სიდიდის მიხედვით იყრება $\frac{1}{2}$ — 1—2 ტონა თუჯი. შოთური თუჯის ნაცვლად აქ შეიძლება გამოვიყენოთ თუჯის ბურბუშელი, რადგან ის უფრო იციულადა თან უფრო ჩქარაც დნება; კიდევ უფრო უკეთესია მყარი თუჯის მაგიერ ჩაისხას გამდნარი თუჯი. გამოსაშვები ნახვრეტი უნდა გამოვსებული იყოს ისე, რომ რაც შეიძლება გაადგილებული იყოს ლითონის გაღრა აორმოდან, ამისათვის კი საჭიროა, რომ ნახვრეტი იყოს რაც შეიძლება დაბლა, ე. ა. ნახვრეტთან არ უნდა იყოს ზღუბლები, რომლებიც დააკავებენ ლითონს ღუმელში. ამიტომ ყველაზე უმჯობესია ორმოების წმენდის დროს ნახვრეტი გამოივსოს შეიდევნაირად: ნახვრეტის ზღურბლზე კოვზით დაიყაროს ცოტაოდენი მდიდარი ფეროსილი-ციუმი, ნახვრეტი დაიხუროს ღუმელის მხრიდან გამოუწვავი დოლომიტით ან (თუ ნახვრეტი ვიწროა) სილით, ხოლო ლარის მხრიდან კი 7—8 ნიჩაბი წვრილი კოქსით. კოქსი დაიტკეპნოს გელათი ან სატკეპნით და დაიფაროს 2 ნიჩაბი გამოუწვავი დოლომიტით, რათა კოქსი არ გამოიფანტოს. ფეროსილიციუმი და სილა შეიცავენ ეგრედწყადებულ სილიციუმს დიდი რაოდენობით, ამ უკანასკნელს კი დოლომიტის და მაგნეზიტის გამოჭმის თვისება აქვს; ამის გამო ნახვრეტში ფეროსილიციუმის და სილის მოთავსება ხელს უწყობს ზღურბლის მოსპობას და ნახვრეტის გაგანიერებას. წვრილი კოქსი იწვის ნახვრეტში, არბილებს ნახვრეტის კედლებს და ამით აგრეთვე ხელს უწყობს ნახვრეტის გაგანიერებას. რათა ნახვრეტის კო-

ქსით შევსებამ მიზანს მიაღწიოს, საჭიროა ეს შევსება
 მოხდეს მაშინ, როდესაც ნახვრეტის კედლები ჯერ კა-
 დეგ ძალიან ცხელია. წინააღმდეგ შემთხვევაში კოქსი არ
 დაიწყებს წვას. ამიტომ საჭიროა გამოსაშვებ ნახვრეტთან
 ყოველთვის ინახებოდეს წინასწარ დამზადებული. წვრი-
 ლი კოქსი იშ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება ლი-
 თონის გამოშვების შედევ თრმოების ამოსაწმენდათ
 ღუმელის გაჩერება. ზოგჯერ, დაუდევარი მოვლის შედე-
 გად, ნახვრეტში რჩება ლითონი კედლებზე და ქვევით.
 მაშინ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ნახვრეტის
 ამოვსებით მხოლოდ ღუმელის მხრიდან, ღარის მხრიდან
 კი ნახვრეტი უნდა გამოიმტვრეს და ძალაყინის დაურის
 შემწეობით მოსცრლდეს ლითონის „თხები“. ეს მუშაობა
 უნდა დაწყებული იყოს ნახვრეტის ამოვსების უმალვე,
 რადგან ის ზოგჯერ მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს და
 შეიძლება შეაფერხოს თრმოდან ლითონის გამოშვება.
 როდესაც გამოსაშვები ნახვრეტი გამომტვრეული იქნება,
 ნახვრეტი ძირს და ღარს უნდა წაესვას თიხა¹), რათა
 შემდეგ გაადგილდეს ნახვრეტიდან და ღარი დან ლითო-
 ნის ნაღვენთების მოშორება, რომელებიც შეიქმნება თრ-
 მოს ამოღვრის დროს. ამავე მიზნით თიხა ესმება ღარის
 ქვეშა დახრილ ფარსაც (წინსაფარს).

იმ დროს, როდესაც ეს სამუშაოები სრულდება,
 ღუმელში თუჯი დნება და მასში მყოფი სილიციუმი მო-
 სპას ფსკერის ბორცვებს, რაც აადვილებს ლითონის
 ამოღვრას ორმოებიდან. ბორცვების მოჭმას კიდევ აჩქა-
 რებენ მათი მოტეხვით შუბების საშუალებით და მოფხე-
 კით რკინის საფხეკებით; წინა კედლის მეტისმეტად სქელ
 ფერდობებს სჭრიან საგანგებო ნიჩბით (სურ. 9), ხოლო

¹⁾ თუ ღუმელს მოსახსრელი ღარი აქვს, მაშინ თიხა ესმება,
 რასაკვირველია, ღარის მხოლოდ უძრავ ნაწილს.

თუ ფერდობებს ნორმალური სისქე აქვთ, მაშინ, იწყებენ რა ფერის ამოჭმას, ფერდობებს მოასწორებენ დოლო-შიტით, რათა დაიცვან ის ამოჭმისაგან და ხელი არ შეუწყონ არმოში წილის უფრო მეტად გასქელებას. იმ მასალას, რომლისაგანაც გაჟოობულია ფსკერი და ფერდობები



სურ. 9

—დოლომიტს და მაგნეზიტს —წილის გასქელების თვისება აქვს. ორმოს ამოწმენდის დროს სქელი წილა სასურველი არაა; რადგან სქელი წილა ძნელად ვაღის ნახვრეტში; ამიტომ ფსკერის ამოჭმის დროს საჭიროა წილა სულმუდამ თხიერდებოდეს სილით, აგურის ნამტვრევით, დინასის ფხვნილით, ხენჯით ან ფლუორის შპატით. როდესაც ლუმელში თუჯი ადულდება (ეს ჩვეულებრივად ხდება $1\frac{1}{2}$, საათის შემდეგ თუჯის ჩაყრიდან) გამოსაშვებ ნახვრეტს გახსნიან და ლითონი გამოიღვრება ლუმელიდან ლარის ქვეშ დაღგმულ საწილე კოლოფუში. მდნაბელის პირველი თანაშემწე ამ დროს უნდა იმყოფებოდეს ლუმელის უკან და სწორდავდეს გამოსაშვებ ნახვრეტს. ლითონის გამოდინების დროს ნახვრეტს აგანიერებენ მისი გვერდების და ზღურბლის მომტვრევით შუალა ფანჯარაში შეყოფილი მსხვილი შუბებით. ამ დროს აგრეთვე სასარგებლოა ნახვრეტის ზღურბლზე (თუ ის კიდევ არსებობს) მდიდარი ფეროსილიციუმის წვრილი ნატეხების ცოტ-ცოტა დაყრა, მაშინ ზღურბლი შთლიანად მოიჭმება და აღარ დაეშლის ლითონის გაღვრას.

როდესაც ღუმელში ლითონის დონე დაიწევს გამოსაშვებ ნახვრეტამდე, შეწყდება ლითონის გამოდინება; მაშინ იწყებენ დანარჩენი ლითონის გამოლვრას ხის სახვეტებით. სახვეტები უნდა წინასწარვე იყოს დამზადებული დიდი რაოდენობით. ღუმელთან უნდა იმყოფებოდეს მჭედელი ან უროსმცემელი ღუმელიდან გამოლებული ცხელი სახვეტების ვასასწორებლად¹⁾.

ორმოს ამოწმენდის ზედმიწევნით შესრულებისათვის საჭიროა ამ ღუმელის ბრიგადის დასაწმარებლად გამოწვეული იყოს დანარჩენი ღუმელების ბრიგადები და აგრეთვი სასხმელ არხზე მუშაობისაგან თავისუფალი მომუშავეები. თუ მუშაობა ენერგიულად იწარმოებს და სამი სახვეტი ერთდროულად იმუშავებს, ორმოდან მთლიანად ლითონის ამოლვრა შეიძლება შესრულდეს 15 წუთში (პირველი თანაშემწე სულ მუდამ ყურს უნდა უკდებდეს გამოსაშვებ ნახვრეტს და ასულთავებდეს მას).

ორმოს ამოწმენდის შემდეგ დაუყოვნებლივ იწყებენ მის ამოგესებას წინასწარ დამზადებული მასალით, ე. ი. ან მაგნეზიტით, ან გამომწვარი დოლომიტით, ან მათი ნარევით. თუ ორმო ლრმაა, მას ამოგესებენ არა ერთბაშად მთელ სიღრმეზე, არამედ ნაწილ-ნაწილ, ისე რომ თითო ჯერზე ჩაყრილი შრე არ აღემატებოდეს 15–20 მილიმეტრს. წესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული ფსკერის გაწყობისას ორმოების გაწმენდის შემდეგ, ისეთივეა როგორც ახალა ფსკერის დაღულების დროს, ე. ი. დაყრა თხელ ფენებათ, ღუმელში ძლიერი სიცან საიმედო დადუღებისათვის, დიდი ორმოების შემთხვევაში — დანაღულის გაწილიანება.

¹⁾ მცედელი ან უროსმცემელი უნდა იმყოფებოდეს ღუმელთან არა მხოლოდ ორმოს ამოლვრის დროს, არამედ ყოველი დნობის გაშვების დროს, რათა დროზე შეკეთდეს იარაღი.

თუ ორმო ძალიან ლრმაა, მაგრამ ფართით კი დიდი არაა, მაშინ კარგ შედეგებს იძლევა ორმოს ამოქსება მაგნეზიტის აგურის ნამტვრევებით. ორმოს ძირზე ყრიან მაგნეზიტის აგურის მსხვილ ნატეხებს, ზომით $\frac{1}{2}$, იგურიმდე, და ტკეპნიან სატკეპნის დარტყმებით (სურ. 3). პირველი შრის მიღულების შემდეგ ყრიან სულ უფროდაუფრო წვრილ ნატეხებს და ბოლოს სულ ზემო შრეთ აყრიან მსხვილ მარცვლოვან მაგნეზიტის ფხვნილს; თითოეული შრე უნდა აუცილებლად კარგად დაიტკეპნოს და დაღულდეს. ასე გაწყობილი ორმო, კარგად თუ იქნება დაღულებული, ძალიან დიდ ხანს სძლება. განსაკუთრებით ხელსაყრელია ეს საშუალება ფერდობებში გაჩენილი ლრმა ორმოების გასაწყობად.

არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ლუმელიდან თუჯის გამოშვების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ფსკერზე ბორცვები, რომლებიც ხელს უშლიან ორმოდან ლითონის ამოლებას, არ არის საქმაოდ მოჭმული. ამ შემთხვევაში საჭიროა კიდევ ხელშეორედ ჩაიკაროს თუჯი და ხელახლა ამონჭამოს ფსკერი.

ამჟამად ამერიკაში ფართოდ ვრცელდება ორმოების ამოწმენდის სრულიად ახალი საშუალება — ორმოდან ლითონის ამობერვა შეკუმშული ჰაერით, რომელიც მოდის კომპრესორიდან არა ნაკლებ 15 ატმოსფერო წნევით. ჰაერი მიიყვანება ორმოსთან ჩემულებრივი რკინის მილით $1\frac{1}{4}$ დიამეტრით, რომელიც კომპრესორის მილსადენობა შეერთებულია ღუნვადი სახელურით.

ზინა კედლის მოვლა

1) წინა კედლის ფერდობები

აჩალი ფსკერის აგების დროს წინა კედლის ფერდობები შეიძლება გაკეთდეს მაღერის დატენვით (დაიტენება

ფერდობის მხოლოდ პირველი შრე). მაგრამ შეიძლება დაუკმაყოფილდეთ ფერდობების მხოლოთ დაღულებითაც. ფერდობები დადუღდება ჩვეულბრივად დოლომიტის და მაგნეზიტის ტოლ-ტოლი რაოდენობის ნარევით.

ღუმელის მუშაობის დროს წინა კედლის ფერდობების მოვლა გამოითატება მათ გაწყობაში, თითოეული დნობის შემდეგ. ფერდ აბების გაწყობა ჩვეულებრივად ხდება გამომწვარი დოლომიტით კოვზის საშუალებით (სურ. 8). ღუმელის არმატურაზე დამაგრებულ ქრონშტეინებზე სდებენ რევალ ძალაყინს და ამ ძალაყინზე ამოძრავებენ კოვზს. ძალაყინის ერთი ბოლო უნდა იღოს უფრო დაბლა და მეორე უფრო მაღლა, რომ კოვზი სცურავდეს ფერდობის იმ მხარეს, რომლის გაწყობაც უნდათ.

წინა კედლის ფერდობების გაწყობისას ყურადღება უნდა მიექცეს მათ სისქეს: თუ ფერდობები საქმაოდ სქელია შეიძლება შევამციროთ დოლომიტის ხარჯი გაწყობაზე და პირიქითა, თუ ფერდობები ძალიან ამოჭმულია (რაც ხდება ძალიან თხევადი წილის შემთხვევაში), გაწყობა უფრო მეტადაა საჭირო.

2) წინა კედლის სვეტები

წინა კედლის სვეტები, რომლებიც ჰქმნიან ჩასაყრელი ფანჯრების შორის შუაკედლისებს, წარმოადგენენ თაღის საყრდნოს. ამიტომ სვეტების მოვლა წარმოადგენს წინა კედლის მოვლის საყრდნოდღებო ნაწილს: სვეტების დაუღევარი მოვლისას ჩამოიწვრევა სვეტებიც და თაღიც. სვეტების მოვლა გამოიხატება მათ შეგლესვაში ყოველი ჩაყრის შემდეგ. სვეტების შეგლესვა ხდება ცომისმაგვარი მასით, რომელიც წარმოადგენს წყალში არეულ დაფხვნილ ქრომრინაქვას; სიბლანტის მისაცემად ქრომრკინაქვას უზარებენ დაფხვნილ ცეცხლგამძლე თიხას რაოდენობით — და-

ახლოვებით $\frac{1}{2}$ ნიჩაბი თიხა ქრომრკინაქვის ერთ ჯინზე. მდნობელის თანაშემწე ამ მასიღან აკეთებს ლაგაშებს და უდებს მდნობელს ნიჩაბზე (სურ. 9), რომლითაც მდნობელი ამ მასას შემოაგლესავს სვეტს დაწყებული ძირიღან. საქმა-ოდ ხშირი შეცდომა, რომელსაც ადგილი აქვს სვეტების დაუდევარი მოვლისას, მდგომარეობს იმაში, რომ გაგლე-სავენ სვეტის მხოლოდ იმ გვერდებს, რომლებიც ესაზღვ-რება ჩასაყრელ ფანჯრებს, და სვეტების წუა ნაწილები კი შეუგლესავი ჩეხება. ასეთ დაუდევარ შეგლესვას ყოველ თვის მოსდევს ძელიან ცუდი შედეგები: სვეტების შუა ნაწილები, რადგანაც საკლესით დაკული არ არის, ჩქარა გამოჭება, რის შემდეგაც დაიწყებს ვარდნას საყრდნოს მოკლებული ჩასაყრელი ფანჯრების თაღები. ამის თავიღან ასაკილებლად სვეტები უჩდა შეიგუსისოს ყველა მხრიღან. რომ უფრო მოხერხებულად შეიგლისოს სვეტების წუა ნაწი-ლები, შეიძლება ნიჩაბი ცოტად მოიღუნოს.

სვეტის შეგლესკის შემდეგ მას გააგლუვებენ წყალში დასველებული ხის ხოფით (სურ. 10). კარგ შედეგებს იძლევა კვატების შელესვა, ქრომიანი მასის ზემოდან, დაფხვნილი მარტენის წილის თხევადი ხსნარით. ლუმელის სიცხის გავ-ლენით ასე შეგლესილ სვეტებს თითქოს ეფინება შუშის მაგვარი ქერქი, რომელიც იფარავს ქრომიან მასას დასკდომისაგან.

სურ. 10

წინა კედლის დაზიანება შეიძლება მოხდეს არა მხო-ლოდ სვეტების დაუდევარი მოქლით, არამედ აგრეთვე სხვა მიზეზებითაც, როგორც: 1) გაუფრთხილებული ჩასანი,

2) არასაკმაო წევით, 3) ჩასაყრელი ფანჯრების გამაცი-
ვებელი ამბრაზურების არაწესიერი მდგომარეობით.

ჩაყრის ღროს სკრაპის დიდ ნატეხებს, თუ ისინი
ფანჯარაში ფრთხილად არ იქნება შეტანილი, შეუძლია
გაანგრიონ თაღები და სვეტები. ამის თავიდან ასაც-
ლებლად მულდაში ჩაწყობილი მასალა უნდა გასწორდეს,
რომ არ იყოს სკრაპის გამოშვერილი ბოლოები. ჩაყრის
ღროს განსაკუთრებით აღვილად ინგრევა ახალი ჯერ
შემოუწილავებელი სვეტები. ამიტომ ჩასაყრელი მასალის
განაწილების ღროს იმ ღუმელისათვის, რომელსაც ახალი
წინა კედელი აქვს, არ უნდა დაინიშნოს დიდი მოუხერხე-
ბელი ნატეხები ან ძალიან დიდი პაკეტები.

ღუმელის არასაკმაო წევა, როდესაც ალი გამოდის
ჩასაყრელი ფანჯრებიდან, იწვევს წინა კედლის აჩქარებულ
გამოწვას. წევის შიბერი ისე უნდა დააყენონ, რომ ჩას-
ყრელი ფანჯრების მხოლოდ ზემო ნაწილში გამოდიოდეს
პატარა ალი.

ზოგჯერ წინა კედლის გამოწვა გამოწვეულია არა
არასაკმაო წევით, არამედ ალის არაწესიერი მიმართუ-
ლებით. ამ საკითხს ჩვენ განვიხილავთ თავში საირო
და საჰაერო ფანჯრების მოვლის შესახებ.

გამაცივებელი ამბრაზურების ცუდი მდგომარე-
ობა ან გამაცივებელი წყლის მიწოდებაში წყვეტილობა
პერიოდი იწვევს წინა კედლის აჩქარებულ გამოწვას.
გამაცივებელი ამბრაზურების მუშაობის ყურისგდება
მდგომარეობს იმაში, რომ ღროვამოშვებით უნდა შემო-
წმდეს ამბრაზურიდან გამომავალი წყლის ტემპერატურა;
წყალი უნდა იყოს თბილი (და არა ცხელი). თუ გამომა-
ვალი წყალი ძალიან ცივია, მაშინ საჭიროა ონჯანების
საშუალებით წყლის მიწოდების შემცირება, ხოლო თუ
წყალი ძალიან ცხელია, მაშინ საჭიროა წყლის მიწოდე-

ბის ვალიდება. უნდა ყური ეგდოს ფერეთვე იმას, რომ ამბრაზურა მჭიდროდ იყოს მიღვმული კედლის წყობაზე; თუ ამპრაზურის და წყობის შორის არსებობს ლრიჭო, მაშინ ამბრაზურას არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ.

უკანა კედლის მოვლა

1) უკანა კედლის ფერდობი.

ახალი ფსკერის აგებისას უკანა კედლის ფერდობის პირველ შრეს ზოგჯერ აკეთებენ დატენილს მაღერისაგან, შავრამ შეიძლება მოელი ფერდობი ვაკეთდეს დადუღებისას გამომწვარი დოლომიტისა და მაგნეზიტისაგან.

ღუმელის მუშაობის დრის წილა ამოსჭამს ფერდობებს და შეიქმნება კარგად შესამჩნევი ხაზი, რომელიც გვიჩვენებს წილის დგომის დონეს. რაც უფრო თხევადია წილა, მათ უფრო მეტია ფერდობების ამოჭა. ამიტომ ფერდობების შესანახვად მდინარეების უპირველეს და უსაჭიროეს საზრუნავს წარმოადგენს. წილის ხორმალური შემაღენლობის დაცვა, მაგრამ ნორჩილურ სქელ წილის შემთხვევაშიაც საჭიროა ფერდობების გაწყობა დნობის შემდეგ. უკანა კედლის ფერდობის გაწყობა ხდება გამომწვარი ან გამუჟვავი დოლომიტი¹, შეუკრით ნიჩბის საშუალებით ფერდობის წილით ამოჭმის ხაზზე. ეს მუშაობა მაითხოვს გარკვეულ დახელოვნებას, მეტადრე მეტად განიერი ფსკერის შემთხვევაში. დაუჩვეველი მუშა ვერ მიაწვდენს დოლომიტს უკანა კედლამდე და დოლომიტი დავარდება ფსკერზე და დაეკვრება მას. ამიტომ უკანა კედლის ფერდობის გაწყობა უნდა მიენდოს მოლოდ მდინარეებს, თანა შემწევებს და მეტად გამოცდილ მაგორავებს.

2) უკანა კედლის წესიერ მდგომარეობაში
შენახვა

ღუმელის მუშაობის დროს უკანა კედელი ლლვება, იფხვნება და ნაწილობრივ ინგრევა. ყველაზე მეტად ზიანდება უკანა კედლის ის ნაწილები, რომელიც იმყოფება გამოსაშვები ნახტომის ზემოდან, და აგრეთვე — წილის და თუჯის ნახვრეტების ზემოდან. უკანა კედლის სწორედ ამ ნაწილების ყველაზე მეტად დაზიანების მიზეზი გასა-გებია: დაზიანება ყველაზე მეტად იქ ხდება, სადაც უფრო ხშირად ხვდება წილის და ლიაონის შხაფები. უკანა კედლები, რომლებიც ქრომრკინაქვისაგან არის აშენებული, უფრო ჩემ არა იწყებს დაზიანებას, ვიდრე მაგნეზიტის იგურით აშენებული: ქრომრკინაქვის ნატეხებიდან იწყებს გამოფხვნას ფუჭი ქანი, გაცილებით უფრო ადვილდნა-დი, ვიდრე ქრომის ჟანგი. შაგრამ თუ დაზიანების დასა-წყისი დროზეა შემჩერებული და დროზევეა მიღებული შესაფერიზომები, შესაძლოა უკანა კედლის ნერევა სრუ-ლიად შეჩერდეს და მისი სამსახურის ნორმალურია ხან-გრძლივობა უზრუნველყოფილ იქნეს. ეს ზომები მდგომარე-ობს ყოველი ჩარის შემდეგ უკანა კედელზე ერთ-ერთი შემდეგი შემადგენლობის რეგულარულად მიყრაში:

1) ქრომრკინაქვა წყალში გასსნილ ცეცხლგამძლე თიხით (ცეცხლგამძლე თიხას ილებენ $\frac{1}{2}$ ნიჩაბს ქრომის მაღნის ერთ ჯინზე);

2) მაგნეზიტის ფხვნილი კირის რეცხი არეული;

3) მადერა, ე-ი. ფისში არეული გამომწვარი დოლო-მიტი ან ფისში არეული მაგნეზიტის წმინდა ფხვნილი.

ნარევს ნიჩით ისკრიან უკანა კედლის დაზიანებულ ადგილებზე; რომ ნარევი არ ეკვრებოდეს ნიჩაბს და ნას ადგილად შორდებოდეს, საჭიროა ნიჩით ყოველთვის

ჰილობ ცოტაოდები მშრალი მაგნეჭიტის ფხვენილი, ხოლო
მის ზემოდან კი დადონ ნარევის გუნდა. უკანა კედელზე
ტყორცნილი გუნდები ყველა არა რჩება იქ, ბევზი
ასხლტება კედლიდან; რომ ეს ასხლეტილი გუნდები არ
დაცვივდეს ფსკერზე ან ფერდობზე, საჭიროა უკანა
კედელზე მიყრა სწორმოებდეს არა დნობის გაძოშვების
შემდეგ, არამედ ჩაყრის შემდეგ, როდესაც ფსკერსა და
ფერდობებს აფარია მასალები.

უკანა კედლის უფრო დიდი ზომით ნვრევის შე-
მთხვევაში უნდა გამოიყენონ სხვანაირი საშუალება: ჩა-
ყრიდან სტოებენ 1—2 მულდა ქვაკირს, დაყრიან მას
სამუშაო მოედანზე და ნიჩბებით მიაყრიან უკანა კედლის
დაზიანებულ ადგილს. ეს ქვაკირი შექმნის ერთგვარ სა-
ძირკველს, რის ზემოდან კედელს მიეყრება ჩვეულებრივი
ხერხით, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. ასეთ საძირ-
კველზე მინაყარი კარგად ჩერდება.

უკანა კედლის წესიერ მდგომარეობაში შენახვის ამ
ზომებს გარდა, რასაცვირეველია, აუცილებელია აგრეთვე
შილებულ იქნეს გამაფრთხილებელი ზომები, რათა შეძლე-
ბისდაგვარად ხელი შეეშალის უკანა კედლის დაზიანებას.
უკანა კედლის დაზიანების ერთ-ერთი ხშირი შიშეზი ეს
არის — გაუფრთხილებლობა ჩაყრის დროს. მდნობელი
ხშირიდ აძლევს განკარგულებას ჩასაყრელი მანქანის
მემანქანეს, რათა მან შისწიოს ჩაყრილ მასალა ზღურბლე-
ბიდან ღუმელის შიგნით, რათა განთავისუფლდეს ადგილი
შემდეგი მასალის ჩასაყრელად. ის სწორედ იქ არის სა-
ჭირო სიფრთხილე, რომ არ დაზიანდეს უკანა კედელი
რკანის ლეჭის ნაწილების დარტყმისაგან.

თაღის მოვლა

ღუმელის თაღის ნაადრევად დანგრევის ერთ-ერთ ძირი-
თად შიშეზს წარმოადგენს ალის მაღალი მიმართუ-

ლება. ალის შალალი მიმართულება შეიძლება იყოს
გამოწვეული:

1) ფსკერის ამოზრდით, რის გამო მცირდება მან-
ძილი თაღსა და ფსკერს შორის და საქუშაო სივრცის
მასალებით ავსების შემდეგ (ჩაყრის დროს) ალი მიმდი-
ნარეობს თვით თაღთან;

2) ჩანაყარის უწესო განრიგებით ღუმელში: მასა-
ლების ადგილადგილ დაგროვება და მაღალი გროვები,
მეტადრე აირის შემოსასვლელებთან, იწვევს ალის ახრას
თაღისაკენ;

3) აირის და ჰაერის შემოსასვლელების არაწესი-
ერი მოვლით (იხ. შემდეგ—თავი აირის და ჰაერის შემო-
სასვლელების შესახებ).


ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თაღის
შენახვის მიზნით უნდა შილებული იყოს ყველა წინად
ჩამოთვლილი ზომები ფსკერის ამოზრდის საჭინააღმდეგოდ
(იხ. თავი 3), შენარჩუნებული ექნეს აირის შემომყვან
მილებს წესიერი მიმართულება (იხ. ქვემოთ) და აგრეთ-
ვე დაცული იყოს საჭირო სიფრთხილე ჩაყრის დროს,
რათა ძალიან მაღლად არ დაგროვდეს მასალა ღუმელში.

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზი ღუმელის
თაღის ნაადრევად გამოღნობისა ეს არის თაღის მეტად
ძლიერი გახურება მტვერის შრის ქვეშ.

ყველა მარტენის ღუმელთან მომუშავემ იცის, რომ
თაღის დამტევრიანებული ადგილები სხვებზე უფრო ჩქა-
რა წითლდება. ეს აიხსნება იმით, რომ მტვერი არ
აძლევს ნებას, რომ აგურებში დაგროვებული სითბო
წავიდეს ჰაერში. ამის გამო აგურები მეტად ხურდება
და უფრო ჩქარა წყების გამოღნობას. ამიტომ ერთერთი
მთავარი წესი თაღის მოვლისა მდგომარეობს თაღზე
შუდ მივად სისუფთავის დაცვაში, რისთვისაც

უნდა ხდებოდეს გაღმოგვა განსაზღვრულ დღეებში. კიდევ უკეთესია თაღიდან მტვერის განბერვა შეკუმშული ჰაერით; ეს უფრო მოხერხებულიცა: და უფრო უსაფრთხოცაა მომუშავეთათვის; ვიდრე ზელით გადმოგვა.

იმ შემთხვევებში, როდესაც ლუმელის თაღი ზოგ ადგილებში იწყებს გაწითლებას, შეიძლება დავიფაროთ ამ ადგილებში გამოწვისაგან კომპრესორიდან შეკუმშული ჰაერის მიყვანით ამ ადგილებთან. ასეთი ჰაერით გაკიგების გაფლენით გაწითლებული ადგილები უკვე ერთი ცენტრის შემდეგ შავდება. თაღი უფრო შეტად ხურდება უკანა კედელთან. ეს აიხსნება იმით, რომ წინა კედელთან ლუმელი ცივდება ფანჯრებში შემაფალი გარეთი ჰაერისაგან; ხოლო უკანა კედელთან კი გროვდება ყველაზე შეტი სიცხე; ამიტომ სასარგებლოა, რომ თაღის ნაწილზე უკანა



სურ. 11

კედლის გასწვრავ წინაშარვე იყოს გაყვანილი კომპრესორიდან მიღი თაღისკენ მიმართული ნახვრეტებით (სურ. 11). ეს მიღი იკეტება სრახნსაცობით, რომელიც საჭიროების მიხედვით გაიღება მიღში ჰაერის შესაშვებად, როდესაც თაღი უკანასკნელის ზემოდან დაიწყებს გაწითლებას.

პირის შემოსასვლელების მოჰკვა.

როდესაც აირის შემოსასვლელები წესიერ მდგომარეობაშია, ალა ღუმელში წესიერი მიმართულება აქვს, ე. ი. მიღის დაბლა აბაზანაზე და არ ეხება თაღს. აირის შემოსასვლელებში ყოველივე უწესობის შემთხვევაში ალის მიმართულება იცვლება: ალი ან მიღის ძალიან მაღლა, სუსტად ათბობს აბაზანას და ადნობს თაღს, ან ძლიერ ურტყამს ღუმელის წიანა ან უკანა კედელს. ალის მიმართულებას დიდი გავლენა აქვა: ღუმელის სვლაზე და ამიტომ აირის შემოსასვლელების მოვლას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ღუმელის მუშაობის დროს აირის შემოსასვლელები დანება. თუ ღუმელში სიცხეს წესიერი რეგულირება ექნება და დინასის აგური, რომლისაგანაც ეს შემოსასვლელები კეთდება, კარგი ხარისხისა იქნება, მაშინ გამოიწინდა ხდება ნელა, წვეთების სახით, რომლებიც აირის შემოსასვლელის აგურებიდან იღვრება ფერდობებზე. გამდნარი დინასის ასეთი ნაკადულები გასჭამენ ღამებს ფერდობებზე და შემოსასვლელის ღარფინზე. ამიტომ ზირის შემოსასვლელების მოვლაში ერთ-ერთი ყოველდღიური მუშაობა არის ამ ღრამების ამოიგება მაგნეზიტის ფხენილით ან დოლომიტით. ღრამები ფერდობებზე ამოიგება კოვზით, რომელიც შეიყოფა ღუმელის ნაპირა ფაჯარაში, ხოლო ღრამები შემოსასვლელში ამოიგება კოვზით შემოსასვლელის ზიგნიდან, რისთვისაც უნდა დაიშალოს შემოსასვლელის ზურგის კედელი. შემოსასვლელების ზურგის კედლების დაშლა საერთოდ უნდა ხდებოდეს ყოველი დნობის შემდეგ შემოსასვლელების მდგომარეობის შესამოწმებლად.

ღუმელის ტემპერატურის უვიცი ან დაუდევარი რეგულირების შემთხვევაში (მაგალითად, თუ აირი ძალიან

დიდი ხანი მიჰყავთ ერთი მხრიდან, ან როცა აირი და
 ჰაერი ძალიან ბევრია) აირის შემოსასვლელების გამოდნო-
 ბა ხდება, არა ისე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი,
 არამედ გაცილებით უფრო ძლიერად: შემოსასვლელებზე
 ჩნდება გრძელი ლოლუები, რომლებიც ვარდება ფერდო-
 ბებზე, ზოვჯერ კი, მეტისმეტად დაუდევარი მუშაობი-
 სას, მეტვრევა შემოსასვლელების აგურების ნატეხები,
 ან ვარდება მთლიანი აგურები. ეს აგურები ვარდებიან
 რა შემოსასვლელების გამოსავალზე, აცერხებენ ალის წე-
 სიერ მოძრაობას. ალი, შეხვდება რა ამ წანაღმდევობას,
 მიამართება თაღისკენ და ხშირად აზიანებს მას¹⁾). შემო-
 სასვლელში ჩამოვარდნილ აგურს მდონბელი შეამჩნევს
 აირის გადაყვანის მომენტში. ამ დროს ლუმელი ცოტა
 ხანს უაიროთ რჩება და გაძოსასვლელები კარგად ჩანს.
 ეს აგური უნდა მაშინვე გადმოიგდოს შემოსასვლელი-
 დან ლუმელში გრძელი კაქვის შემწეობით. თუ ეს მაშინა-
 თვე არ იქნება გაკეთებული, მაშინ ჩამოვარდნილი აგუ-
 რი მიადუღდება შემოსასვლელის ლორთუანს და შემჯეგ
 მისი მოშორება გაცილებით უფრო ძნელია; საჭირო ხდე-
 ბა შემოსასვლელის გახსნა და ბორცვის მომტვრევა შუ-
 ბებით შიგნითი მხრიდან. ძალიან ხშირი შეცდომა, რო-
 მელსაც ასეთ შემთხვევაში უშვებს გამოუცდელი მდონ-
 ბელი, მდგომარეობს შემდეგში: იმის მაგიერ, რომ მია-
 მტვრიოს ბორცვი შემოსასვლელის გამოსასვლელზე, ის
 ავსებს მთელ დანარჩენ გამოსასვლელს ბორცვის ღრნემ-
 დე მაგნეზიტის ფხვნილით. ამის გამო მაღლდება აირის.
 შემოსასვლელის ლორთუინის დონე; ალის ჩიმართულება

1) ამი უომ, თუ ემჩნევა, რომ ალი აზიანებს თაღს რომელიც შემოსასვლელთან, საჭიროა გაიხსნას ეს შემოსასვლელი და გაისინ-
 ჯოს, ხომ არ არის გამოსასვლელის შიგნით ჩამოცვიენილი აგურები.

მალლდება და ამით უარესდება აბაზანის გახურება. ამის გარდა, შემოსასვლელის არაზომიერი შევსებით მცირდება აირის გასავლელი ნახვრეტი. იმ მხრიდან, საიდანაც შემოსასვლელი შევსებულია, ღუმელში შემოვა ნაკლები აირი და ღუმელის სვლა ცივი იქნება. ასეთ შემთხვევებში საჭიროა შუბებით ამოიმტვრეს მთელი ზედმეტი ჩანაყარი შემოსასვლელში და აღდგეს მისი წინანდელი ზომები. ეს ჩვეულებრივ სრულდება ჩაყრის დროს. ამ დროს აირი შემოჰყავთ მოპირდაპირე მხრიდან.

თუ შემოსასვლელში ჩამოკვიცდა ისე ბევრი აგურები, რომ მათი გადმოყრა შუბებით ვერ ხერხდება, მაშინ ხმარობენ განსაკუთრებულ ნიჩაბს (სურ. 12) იმის მსგავსს, როგორებსაც ხმარობენ ღუმელში ხელით ჩასატვირთად, ხოლო თუ ასეთი ნიჩითაც ვერ ხერხდება შემოსასვლელის განთავისუფლება, იძულებული ვხვდებით მიემართოთ ასეთ უკიდურეს საშუალებას: მოსამტვრევ



სურ. 12


ბორცვზე მიუშვებთ წყლის წვრილ ჭავლს $1\frac{1}{2}'' - 3\frac{1}{4}''$ წყალსადენი მილით. გავარვარებული აგური წყლის მოქმედებით დასკდება და მისი მომტვრევა საგრძნობად გაადგილდება. ამ საშუალების დიდ ნაკლულევანებას წარმოადგენს ის, რომ წყალი შეიძლება მოხვდეს. არა მხოლოდ ბორცვს, რომელიც მოსამტვრევია, არამედ შემოსასვლელის სხვა ადგილებსაც და გამოიწვიოს მათი დასკვრმა.

ლუმელის მუშაობის დროს შემოსასვლე ღები იწვის არა მარტო ბოლოზე, არამედ გვერდებიდანაც, ე. რ. შემოსასვლელი ხდება უფრო განიერი, ვიდრე დასაწყისი იყო. რაც უფრო განიერია შემოსასვლელი, მით უფრო ნელა შემოლის იქიდან აირი; ნელა მოძრავი აირი ვერ ინსრჩუნებს წესიერ მიმართულებას, იწევს თალისკენ და არ ახურებს აბაზანას. ამიტომ მეტად განიერი შემოსასვლელების შემთხვევაში ღუმელი ცივად მუშაობს. მეტად განიერ შემოსასვლელებს შეასწორებენ შიგნიდან შემოსასვლელების კედლებზე ცომისმაგვარი მასის შეგლესვით, რომელიც შესდგება წყალში არეულ დაფხვნილ ქრომიან მაღნისაგან ცეცხლგაძლევ-თიხის დამატებით ($\frac{1}{2}$, ნიჩაბი თიხა ქრომიან მაღნის ერთ ჯინზე). შეგლესვა სრულდება ნიჩით (სურ 9), რისთვისაც საჭიროა შემოსასვლელის მოკლე კედლის დაშლა. ეს მუშაობა ჩვეულებრივად სრულდება ჩატვირთვის შემზევა.


მეტად განიერი შემოსასვლელების შემთხვევებში ხშირად ალი ძლიერ ურტყაშს ღუმელის წინა კედელს, რის გამო ეს კედელი მეტად იწვის და ღუმელზე მომუშავე ბრიგადის მუშაობა ძნელდება. ესეც შეიძლება ნაწილობრივ გამოსწორდეს შემოსასვლელის შეგლესვისას: შემოსასვლელის წინა გვერდითი კედელი უნდა შეიგლისოს უფრო სქელი ფენით, ვიდრე უკანა გვერდითი კედელი. ამის გარო ალი ცოტად მოშორდება ღუმელის წინა კედელს:

შემოსასვლელებში ყოველთვის ემჩნევა დაზიანების კიდევ ერთი სახე — შვეული ჭის და დახრილი ნაწილის შორის გადასავალის ამოჭმა (სურ. 13). ღუმელიდან წამავალ აირებს თან მიაქვთ რეინის მაღნის, დოლომიტის და წიდის ბევრი მტვერი. შობრუნების ადგილში, რომელიც ნაჩვენებია სურ 13-ზე, ეს მტვერი დაილექტია

აირიდან და ამოსჭამს გადასავალის აგურებს, რის გამო გადასავალი თანდათან დაბლდება. მეტად დაბალი გადასავალის შემთხვევაში აღს არა აქვს საჭირო დახრილობა და ღუმელში მეტად მაღლა მიდის. დადაბლებულ გადასავალს აამაღლებენ მასზე ქრომიან მაღნის ჩასის დაწებით (იხ. ზემოთ). თუ გადასავალის დადაბლება უფრო დიდია, მაშინ უმჯობესია ქრომიანი ჩასის ნაცვლად დაეწყოს მცირე ქუსლების (სურ. 14) ერთი რიგი ქრომზე ისე, რომ ქუსლის დახრილობა თანხვდეს შემოსასვლელის დახრილობას.



სურ. 13



სურ. 14

რეგენერატორების მეთვალყურეობა

რეგენერატორების მდგომარეობა უნდა შემოწმდეს ერთხელ მაინც ცვლაში. შემოწმების გასააღვილებლად რეგენერატორის კედლების წყობაში შეიძლება დასტანდეს ყველა მხრიდან თითო სიფრნური მიღავი, რომლის პირიც დაიხუროს აგურისაგან გამოთლილი საკობით ან სპეციალურად ჩამოსხმული სახურავით.

რეგენერატორების მდგომარეობის შემოწმებას მ.წ-ნადა აქვს დასახული გამოარკვიოს:

ა) ხომ არ ჩამოიქცა ნაწყობები და კამერის კედლები;

ბ) ხომ არ გამოიწვა კედლები, რომელიც ჰყოფენ
ჭირის და ჰაერის საწილარებს;

გ) გადახურებული ხომ არაა რომელიმე ნაწყობი
სუვებთან შედარებით.

ა) თუ ნაწყობში ჩანს ზემო ჩიგების აგურების ნა-
წილობრივი ჩამონგრევა, მაგრამ წევა კი საკმარისია
ღუმელის მუშაობისათვის, მაშინ ასეთი ჩამონგრევა სა-
შიში არაა და არ მოითხოვს არავითარი ზომებს ღუმელის
სარემონტოდ გაჩერებამდე.

ბ) კედლის გაწვა აირის და ჰაერის საწილარების
შორის სახითათოა მით, რომ ამ გამწვარ ადგილებში
შეიძლება მოხდეს აირისა და ჰაერის შეერთება, მაშინ
საწილარებში აირი და ჰაერი დაიწვება უსარგებლოდ და
ღუმელი კი ვერ მიიღებს აირს საკმაო რაოდენობით და
იმუშავებს ცივად. განაწვები ნათლად ემჩნევა იქიდან
გამოვარდნილი ალის მიხედვით, როდესაც აირი ღუმელ-
ში ამ მარიდან მიდის. თუ განაწვები დრიდი არაა და
იმყოფება საწილარის ფანჯრების მახლობლად, მაშინ
მათ შეიძლება მიეყაროს ქრომიანი მასა; ხოლო თუ გა-
ნაწვები მნიშვნელოვანია, მაშინ საჭიროა ღუმელის გაჩე-
რება, მისი ცოტად გაცივება და გადამწვარი კედლის
გადაწყობა.

გ) ნაწყობის ტემპერატურის განსაზღვრა მისი ფე-
რის მიხედვით შეიძლება მხოლოდ ტლანქი დახლოვე-
ბით. ნაწყობს აქვს მუქი-წითელი ფერი 700° — 800°
ტემპერატურისას; ფოლისფერი შეესაბამება 900° -სს;
ბაცი-წითელი ფერი 1000° -სს, ბაცი-ყვითელი 1100° — 1200° ; ძლიერ მაღალ ტემპერატურისას, 1250° -ზე მაღ-
ლა, ნაწყობის ფერი თეთრის თეთრია და ცალკეული
აგურები. არ ირჩევა.

ერთი რომელიმე მხარის ნაწყობის გადახურება
სხვა მხარის ჩაწყობებთან შედარება არღვევს ღუმელი
წესიერ სკლას. გადახურებული მხრიდან აღი გამოდის
უფრო მოკლე, მძაფრი და ძლიერ აზიანებს შესასკლე-
ლებს და თაღის წყობას. ამიტომ, ღუმელის დაზიანების
თავიდან ასაცილებლად, ნაწყობების გადახურება, თუ კი
ეს მოხდა, უნდა გამოსწორდეს მათი ტემპერატურების
გათანაბრებით, ნაწყობების ტემპერატურების გათანაბრე-
ბა კი ხდება ორნაირი საშუალებით:

- 1) სარქველების გადაყვანით;
- 2) ნაწყობების გახსნით.

ნაწყობების ტემპერატურების გათანაბრება სარქვე-
ლების გადაყვანით მდგომარეობს იმაში, რომ უფრო
გახურებულ წყვილ ნაწყობში აირს და ჰაერს ატარებენ
უფრო დიდხანს, მაგალითად, თუ გადახურებულია მარ-
ჯვენა ნაწყობები, მაშინ მარჯვნიდან მარცხნისაკენ აირ
და ჰაერს უშვებენ 40 წუთის, განმაჟლობაში, ხოლო მა-
რცხნიდან მარჯვნივ კი 20 წუთის განმავლობაში. ასეთი
რეგულირება სრულდება ჩატვირთვის დროს, როდესაც
ღუმელი ცივდება სახურავების აწევის გამო და ცივი
სამაღლების შეტანის გამო და შესაძლებელია აირი შედა-
რებით დიდ ხანს ვატაროთ ერთი მხრიდან და არ გვე-
შინოდეს ღუმელის დაწვისა. ჩვეულებრივად ერთი-ორი
ცვლის განმავლობაში ასეთი საშუალებით შეიძლება გა-
ვთანაბროთ ტემპერატურები ნაწყობებში.

მაგრამ თუ რომელიმე წყვილი ნაწყობი დაუდევ-
რობის გამო გადახურდა იმდენად ძლიერ, რომ შემოსა-
სკლელს ან თაღს საფოთხე მოელის და საჭიროა ნაწყობე-
ბის დაუყოვნებლივ გაცივება, მაშინ მიმართავენ მეორე
საშეალებას - გადახურებულ საჰაერო კამერის კედელში
ნაწყობის ზემოთი რიგის ზემოდან გახსნიან დახლოებით

$\frac{1}{2}$ აგურის ზომის ჭუჭრუტანას, ე. ი. 125×125 მმ¹⁾. ამ ჭუჭრუტანაში შემავალი ცივი ჰაერი აცივებს ნაწყობებს. რასაკვირველია, ნაწყობების ტემპერატურების გათანაბრების ეს წესი ძალიან არა ხელსაყრელია, რადგან ის იწვევს ბევრი სითბოს დაქარგვას, მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება მისი გამოყენება. ნაწყობების ტემპერატურების გათანაბრების ორივე განხილული წესი ხშირად იხმარება ერთდროულად.

გამოსაშვები ნახვრეტის მოვლა


1) ახალი ნახვრეტის დატენვა

ცივი რემონტის შემდეგ ღუმელის გაშვების დროს გამოსაშვები ნახვრეტის დატენვას მაშინ იწყებენ, როდესაც ფსკერის შუაგულში დანაყარის დონე ნახერეტის ნაგარაულევ დონეზე ცოტა დაბლა იქნება. ნახერეტის დონეს საზღვრავენ გამოსაშვები ღარის მიხედვით. ღარს ააწყობენ შამოტის აგურებისავან (ღარის ჩვეულებრივი წყობაა 2 რიგი აგური სიბრტყით დადებული) და გულასმობენ, რომ ღუმელის მუშაობის დროს ღარის წყობა წაიგლისება თიხით დაახლოვებით 1 თითის სისქეზე; სწორედ ეს მოგვცემს ნახვრეტის დონეს. გამოსაშვები ნახვრეტის ძირი, რომელიც მაგნეზიტის აგურებით არის ამოწყობილი, წაიგლისება შამოტის თიხით აგრეთვე დაახლოვებით 1 თითის სისქეზე ისე, რომ ეს წანაგლესი გაუსწორდება ზემოთ მოხსენებული ღარის წანაგლესის აონებს. ნახერეტის წაგლესვა უნდა დაიწყოს გამოსაშვებ ბოლოდან, ე. ი. იმ ბოლოდან,

1) ცხადია, ეს წესი არ გამოდგება საარო ნაწყობების გასაცივებლად, რადგან საარო კამერის კედლის ჭუჭრუტანიდან აირი კარში გამოვიდოდა.

რომელიც ღართანაა, და თანდათან წავიდეს შიგნით. ასე-
თი მიმდევრობით წაგლესეისას ნახვრეტს ჩიეცემა წესი
ერი დაქანება ღუმელიდან ღარისაკენ; ხოლო თუ წაგლე-
სივას შეკასრულებით ზებრუნებული მიმართულებით, მა-
შინ აღვილად შეიძლება დაუშეათ შეცვლისა და ნახვრეტს
შიგცეთ არა სეთი დაქანება, როგორიც საჭიროა,

წანაგლესის ზემოდან ნახვრეტში იდება ხის ფორმა,
რომლის ირგლივ ხდება ნახვრეტის დატენვა (სურ. 15)
ეს ფორმა შიგნით ცარიელია, მისი ღიამეტრი ვიწრო
ბოლოზე 150 მმ-ია, ხოლო განიერ ბოლოზე კი 180 მ.
ფორმის სიგრძე ნახვრეტის სიღრძეზე უოტა მეტია; ჩვე-
ულებრივად ხმარობენ დაახლოვებით 1,5 მეტრის სიგრ



სურ. 15. კროლი AB-ზე

ძის ფორმებს. ფორმას სდებენ ვიწრო ბოლოთი ღუმელი-
საკენ ისე, რომ ფორმის ბოლო გაშვერილი იყოს ღუმელ-
ში დაახლოვებით 300 მმ-ს; ფორმის ა'ე დაყენების
შიზანი განმარტებული იქნება ქვემოთ. ადგილზე დაყე-
ნების წინ ფორმას ასველებენ წყლით. ეს იმისათვის კეთ-
დება, რომ ფორმა ამოიწვას ნელნელა და ნახვრეტის ჩა-
ნატენმა მოასწროს კარგად გამოშრობა.

როდესაც ფორმა დადებული იქნება თავის ადგილ-
ზე, იშყებენ დატენვას შუალედში ფორმისა და ნახვრე-
ტის. აგურის წყობის შორის. დატენვა შეიძლება მოხდეს
ან მადერათი, ან მასით, რომელიც შესდგება სამი წილი
დაფხვნილი ქრომიან მაღნისაგან და ერთი წილი მაგნე-

ზიტის ფხვნილისაგან. დაფხვნილი ცეცხლგაშძლე თიხის დამატებით 1/3 ნიჩაბი ქრომიან მაღის ერთ ჯინზე. ეს მასა არეულია წყალში სქელი ცომის სახეოთ.

დატენვის ხერხი ორივე შემთხვევაში ერთნაირია: გამჭავები ღარის მხრიდან ნიჩბით შეისვრიან მასას ფორმის ირგვლივ რაც შეიძლება: შორს და სტკეპჭიან ზას პატიარა გელათი ან სატკეპნით. როდესაც ღარის მხრიდან ნახერეტი ამგვარად დატენილი იქნება, იმავე მასას შეისვრიან ღუმელის შუალა ფანჯრიტან ღუმელში გამოშვერილი ფორმის ბოლოს ირგვლივ და ამით მისცემენ ნახერეტს ღუმელის მხრიდან წესიერ ზომებს.

როცა ნახერეტის დატენვა დამთავრებულია, ხის ფორმას მოუკიდებენ ცეცხლს, რისთვისაც ფორმის შიგნით ჩეულებრივად სდებენ წითლად გავარვარებულ რკინის ძალაყინს (ან მილს). ფორმა ნელნელა იწვის და აშრობს დანატინს.

2) გამოსაშვები ნახერეტის გამოშენება

ფსკერის დადუღების ღროს გამოსაშვები ნახერეტი, იმის შემდეგ, რაც ის და ტენილი, იქნება, უნდა იყოს ღახუ-რული, რომ ფსკერზე დაგროვებულ ჭიდას არ შეეძლოს ნახერეტში ჩაღვრა და იქ გაყინვა. ფსკერის დადუღების ღროს ნახერეტს ჩეულებრივად ხურავენ გამოუწვავი დოლომიტით, რომელიც დაფხვნილია მარცვლებად ზომით არა უმეტეს 10 მილიმეტრისა. მღნიბელის პირველი თანა-შემწე ისვრის რამდენიმე (3—4) ნიჩაბ გამოუწვავ დოლომიტს ნახერეტში ღარის მხრიდან, ხოლო მღნიბელი კი იმავე ღროს ისვრის 2—3 ნიჩაბ გამოუწვავ დოლო-მიტს ნახერეტში ღარის მხრიდან.

პირველი ჩატვირთვის დაწყების წინ გამოსაშვებ ნახერეტს გამოანგრევენ (ფხვიერი გამოუწვავი დოლო-

მიტი გამოიხვეტება გელათი და შემდეგ შეცხობილი დოლომიტი გამოიმტვრევა შუბით), წილას გამოუშვებენ ღუმელიდან და ამის შემდეგ ნახვრეტს გამოაშენებენ „ჩატვირთვაზე“.

არსებობს მარტენის ღუმელის გამოსაშვები ნახვრეტის „ჩატვირთვაზე“ გამოშენების მრავალი სხვადასხვა გზახერხები. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ ყველაზე მეტად გავრცელებულებს.

გამოსაშვები ნახვრეტის გამოშენების ერთერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს გამოშენება რკინის მაღნით და მაგნეზიტის ფხენილით. ნახვრეტის გამოსაშენებლად ღუმელის მხრიდან ხმარობენ განსაკუთრებულ კოვშს, იმავე სახისას, როგორც გასაწყობი კოვზი (იხ. სურ. 8), მხოლოდ ტევადობით ცოტა უფრო მცირეს და უფრო გრძელ ტარიანს.

ამ კოვზს წინასწარვე ავსებენ წმინდა რკინის მაღნით (დაახლოვებით 2 ნიჩანი მაღანი) და ამ მაღანს ასველებენ წყლით, რომ ის არ გაიძნეს ღუმელში ნახვრეტის აქეთ-იქით. როცა ნახვრეტის გამოშენების დრო დადგება, მაღნით სავსე კოვზს სდებენ შუალა ფანჯარაზე გადებულ ძალაყინზე, ამ ძალაყინზე შეაცურებენ ღუმელში და გაღმოაპირევავებენ უშუალოდ გამოსაშვებ ნახვრეტთან. რომ კოვზი უკეთესად ცურავდას ძალაყინზე მის ტარს წააცხებენ ოლეონაფტს. მაღანი იხმარება იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ ნახვრეტის „ზღურბლის“, ე. ი. ლითონის, დოლომიტის და წილის ბორცვის, შექმნა. ასეთი ზღურბლი აძნელებს ღნობის გამოშვებას, ვინაიდან აგუბებს ღუმელში ლითონის და წილის ნაწილს. რკინის მაღანი მოსკამს ზღურბლს და ამგვარად ააღვილებს გამოსაშვები ნახვრეტის წესიერ მდგომარეობაში შენახვას.

როცა რკინის მაღანი დაყრილია, კოვზს ავსებენ წყლით დასველებულ მაგნეზიტის ფხვნილით და დააყრიან მას მაღანს ზემოდან. მაგნეზიტის ფხვნილს ჩვეულებრივად იღებენ ორ კოვზს. ამ სამუშაოს ასრულებს მდნობელი. იმავე დროს მდნობელის პირველი თანაშემწე ამავესებს ნახვრეტს ლარის მხრიდან მაგნეზიტის ფხვნილით. მაგორავი დიდი ძალით სტყორცნის მაგნეზიტის ფხვნილს ნახვრეტში, ხოლო მდნობელის პირველი თანაშემწე სტკეპნის ფხვნილს ნახვრეტში სატკეპნით ან გელათი. ზოგ ქარხნებში ხმარობენ კიდევ ასეთ ხერხს: მდნობელი, ჩაყრის რა ნახვრეტში კოვზით მაღანს და მაგნეზიტის ფხვნილს, დააჭირებს ნახვრეტს რკინის სახვეტს (სურ. 5) და ამით შექმნის საყრდნოს ნახვრეტში მაგნეზიტის ფხვნილის უფრო მჭიდროდ დასატკეპნად.

რომ მაგნეზიტის ფხვნილი არ გაშოცვივდეს ნახვრეტიდან ღუმელის შიგნით, ზოგჯერ ნახვრეტში ღუმელის მარილან მაკრესიტის ფხვნილის ზემოტან ჰყრიან 2—3 ნიჩაბ გამომწვარ დოლომიტის. დოლომიტის შედალება მაგნეზიტზე უფრო ადვილად ხდება. ამის გამო შეიქმნება ქერქი, რომელიც შეაკავებს მაგნეზიტის ფხვნილს ნახვრეტში. ნახვრეტზე ბევრი დოლომიტის დაყრა კარგი არაა, რადგან მაშინ ნახვრეტის ნაპირები წაშიოზრდება ღუმელის შიგნით და ნახვრეტი მეტისმეტად გრძელ გახდება¹⁾). ნახვრეტზე დოლომიტის დაყრის დროს დაცული უნდა იყოს კიდევ ერთი საფრთხილე: საჭიროა დოლომიტი დაყრილი იყოს სწორედ ნახვრეტში, წინა-

1) ზოგჯერ გვიხდება ნახვრეტზე ბევრი გამომწვარი დოლომიტის დაყრა; ეს ხდება კმ შემთხვევაში, როდესაც ნახვრეტი ღუმელის მსრილან მეტად დიდია და საჭიროა მისი შემცირება.

აღმდეგ შემთხვევაში დოლომატი ჩაცვივდება წილის გუბე-ში, რომელიც თითქმის ყოველთვის დგას ნახვრეტთან, და ამ წილასთან შექმნის ზღურბლს.

ზემოთ ნაჩვენები იქა ნახვრეტის ძირის რკინის მაღნით გამოშენების მიზანი — ზღურბლების მოსპობა. მაგ-რამ ძალიან ხშირია შემთხვევა, რომ ნახვრეტთან არამც თუ არ არის ზღურბლი, არამედ, პირიქით, არსებობს ორმო. ასეთ შემთხვევებში, რასაკეირველია, არ უნდა მიეცეს მაღანა, რადგან მაღანი უურო მეტად აშლიჭამს ორმოს. ორმოზან უნდა ამოიღვაროს ლითონი კავათ ან ყირაზე დაყენებული ხის სახევტით, ორმო ამოიღსოს მაგნეზიტით გასაწყობი კოფზის საშუალებით და შემდეგ გამოშენდეს ნახვრეტი მხოლოდ მაგნეზიტით.

ზემოთ ჩამოვლილი საშუალები წარმოადგენენ ნა-ხვრეტის გამოშენების პირველ ნაწილს. მუშაობის ეს ნაწილი სრულდება უშუალოდ ჩატვირთვის წინ. მუშა-ბის მეორე ნაწილი — ნახვრეტის საბოლოო გარიშენება. ლარის მხრიდან — ჩვეულობრივად სრულდება ჩატვირთვის ბოლოს ან ჩატვირთვის დამთავრების შემდეგ.

გამოსაშენები ნახვრეტის საბოლოო გამოშენება მდგომარეობს იმაში, რომ ნახვრეტის გაუცემლად და-რჩენილი ნაწილი გამოიგება ლარის მხრიდან მაგნეზი-ტის ფხვნილით. რომ მაგნეზიტის ფხვნილი არ ჩამოცვივ-დეს ლარში, ნახვრეტის ბოლოზე, ლართან, დაიდება ორი-სამი აგური და გაიგლისება შამოტის სქელი თა-ხით. როგორც უკვე იყო ნაუქვამი, ნახვრეტის გამოშე-ნება რეინის მაღნით და მაგნეზიტის ფხვნილით ფრიად გავრცელებულია. ამ საშუალების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ, წესიერი მუშაობისას;

- 1) არ შეიქმნება ზღურბლი ნახვრეტთან;
- 2) არ შედულდება ნახვრეტი და ამიტომ ადვილი გამოსანგრევი იქნება.

ზოგჯერ, მაგნეზიტის სინაკლინისას ან მისი ეკო-ნომისის მიზნით, ნახვრეტის გამოსაშენებლად მაგნეზიტის პაცვლად ხმარობენ გამომწვარ დოლომიტს. ეს საშუალებაც საქმაოდ გავრცელებულია, მაგრამ პირველს კი ჩამოუვარდება, რადგან გამომწვარი დოლომიტი უფრო ადვილად შეადულდება, ვიდრე მაგნეზიტი, და ამიტომ ამ საშუალებით გამოშენებული ნახვრეტის გამონგრევა ზოგჯერ ძალიან გაძნელებულია. განსაკუთრებით ხშირად ხდება ნახვრეტის შედუღება, თუ გამოსაშენებლად ნახმარ გამომწვარ დოლომიტს მხტერი მარცვლების სახე აქვს (10 მილიმეტრზე-მეტი). ამის თავიდან ასაცილებლად ნახვრეტის გამოსაშენებლად უნდა წინასწარვე მომარაგდეს წვრილი გამომწვარი დოლომიტი, დაახლოვებით 8×8 მილიმეტრ ნახვრეტებიან საცერში გატარებული.

გამოშენების წესი ისეთივეა, როგორც მაგნეზიტით გამოშენებისას.

ყველაზე იაფია ნახვრეტის გამოშენება გამოუწვავი დოლომიტით, რაც ზუსტად იმავე წესით სრულდება, როგორითაც გამომწვარი მაგნეზიტით გამოშენება. მაგრამ ამ საშუალების გამოყენებას ვერავის ურჩევთ, რადგან გამოუწვავი დოლომიტით გამოშენებული ნახვრეტის გამონგრევის დროს, ნახვრეტის შეუღუდებლობის გამო, ღუმელიდან ხშირად დაღი ძალით გამოვარდება აირები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ იქ მომუშავე მდნობელის პირველი თანაშემწისათვის.

ურალის ზოგ-ზოგ ქარხნებში გამოსაშევები ნახვრეტის გამოსაშენებლად ხმარობენ წმინდა ქრომიან მაღანს. ამ საშუალებას შნიშვნელობა აქვს მხოლოდ ურალისთვის, რადგან იქ ქრომიანი მაღანი შედარებით იაფია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნახვრეტის გამოშენე-

ბის წესი ფსკერზე ორმოების. ამოწმენდის დროს. გამოშენების ეს წესი (ცდიდარი ფეროსილიციუმით და სილიტ ლუმელის მხრიდან, წვრილი კოქსით და გამოუწვავი დოლომიტით ღარის მხრიდან) უკვე იყო ზემოთ აღწერილი.

ვ. გამოსაზვები ნახვების გამოხვავა

გამოსაზვები ნახვრეტის გამონგრევას იწყებენ დაახლოვებით 10 წუთით ადრე დნობის გამოშვებამდე. ამ სამუშაოს ასრულებენ მდნობელის პირველი თანაშემწედი და ერთ-ერთი მაგორავი. მდნობელის პირველი თანაშემწედგები ნახვრეტის მარჯვნივ და შუბით ან გელათი აამტვრევს თიხას; რომლითაც გაგლესილია ნახვრეტის გამოსასვლელი ბოლო ღარითან; მაგორავიამ თიხას ნიჩბით ამოაგდებს ღარიდან. შემდეგ თანაშემწე მოაშორებს აგურებს, რომლითაც დაკეტილია ნახვრეტი, და გამოხვეტავს მაგნეზიტის ფხვნილს. მაგორავი მოაგროვებს ჭაგნეზიტის ფხვნილს ცალკე ყუთში, რომელიც ღარითან დგას, რათა შემდეგ ეს ფხვნილი ისევ წავიდეს საქმეშა ნახვრეტის გამოსაშრობად (იხ. ქვემოთ) და გამოსაშენებლად (ყოველი ღნობის შემდეგ მაგნეზიტის ძველ ფხვნილს უნდა დაემატოს დაახლოვებით ერთი ვედრო ახალი ფხვნილი დანაკარგის ასანაზლაურებლად). ნახვრეტის სირღმეში მაგნეზიტის ფხვნილი. სულ მეტად და მეტად შედუღებულია და იმიტომ გელათი მის გამოხვეტამდე საჭირო ხდება მისი გაფხვიერება მსუბუქი შუბით. თან საჭიროა, რომ ეს გაფხვიერება და გამოხვეტა ხდებოდეს არა მხოლოდ შუაში არამედ თანაბრად მთელ ნახვრეტზე, რომ გამონაშენის ნაშილები არ დარჩეს ნახვრეტის გვერდებზე. თუ ამაკ ყურადღება არ მიექცა, ნახვრეტის შივნით შეიქმნება შევიწროვება. ღნობის გამოშვების დროს ლითონის ჭავლი

შევიწროვებულ ადგილში განიცდის დარტყმას და გამ დინ-
დება არა დინჯად, ფუხფუხით, რის გამო შეიძლება გადა-
ქსხას ლარის არმატურას.

როდესაც ნახვრეტის გამონგრევა შიალწევს ისეთ
სილრმეს, რომ დარჩენილი გამონაშენის ფერი ბაციკი-
ოველი იქნება (პარველად გამოლებულ გამონაშენს მუქი-წი-
თელი ფერი აქვს, შემდეგ ბაცი-წითელი), გამონგრევას
სწყვეტებ და უკდიან ოსტატის ნიშანს ღნობის გამოსაშვე-
ბად. მას მაჩვენებლად, რა? ნახვრეტში დარჩა გამონა-
შენის მხოლოდ თხელი ფერი, ხშირად იყენებენ არა მარ-
ტო გამონაშენის ფერს, არამედ აგრეთვე აირების წვრი-
ლი ჭავლების გამოხეთქვას ღუმელადან ამ გამონაშენში
(ალის ენების სახით).

როდესაც ოსტატისაგან ღნობის გამოშვების ბრძანება
იქნება მიღებული, მდუნბელის თანაშემწევრძელი მახვილი
შუბით შეტეხავს ნახვრეტში დარჩენილ გამონაშენის შრეს,
ეს საშუალო მოითხოვს ერთგვარ დახელოვნებას და ხერხი-
ანობას: საჭაროა, რომ როგორც კი ნაწვრეტი შეიტეხება,
მოესწოროს შუბის გამოლება და ლარის იქით გაქცევა თორემ-
ლითონის ჭავლი ღია საფრთხეს წარმოადგენს.

გამოსაშვები ნახვრეტის შეტეხის დროს უნდა და-
ცული იყოს შემდეგი აუცილებელი წესი.

ნახვრეტი უნდა შეიტეხოს რაც ჰეიძ-
ლება ქვევით, რომ წილამ დაიწყოს ღუმელი-
დან გამოღინება მხოლოდ იმის შემდეგ, რო-
დესაც ღუმელიდან ლითონი მთლიანად იქ-
ნება გამოსული.

თუ ნახვრეტი ძალიან მაღლა იქნება შეტეხილი,
მაშინ ნახვრეტის ქვემო ნაწილზე დარჩება ზღურბლის
რომელიც დააკავებს ღუმელში ლითონის ნაწილს; რო-
გორც კი წილის დონე დაიწევს ამ ზღურბლამდე, წილ

დაიწყებს გამოლერას ციცხვში; შემდეგ, როდესაც ხლურბლს მოსპობენ (იხ. ქვემოთ), ღუმელიდან გამოიღვრება დარჩენილი ლითონი და ციცხვში მოხდება ლითანისა და წილის არევა, რაც საგრძნობლად ადაბლებს ფოლადის ხარისხს¹).

გამოსაშვები ნახვრეტი რომ წესიერად შეიტეხოს, უნდა ვიხმაროთ მხოლოდ სწორი შუბები. მოღუნული შუაების ხმარება არავითარ შემთხვევევაში არ უნდა იყოს დაშვებული. ზოგ-ზოგ ქარხენგში სმარობენ აგრეთვე განსაკუთრებულ მიმართველ ხუნდებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ნახვრეტის შეტეხვის მაღლა.

როგორც კი გამოსაშვები ნახვრეტი შეტეხილი იქნება, მდნობელი თავის ბრიგადასთან ერთად აფართოვებს ამ ნახვრეტს ღუმელის მხრიდან. ამისათვის ის ხმარობს $1\frac{1}{2}$ " დიამეტრიან რგვალი რკინისგან გყელთებულ გრძელ ჟუბს. რომ შუბი არ გაღნეს ლითონში, ის ჯერ უნდა გაწიდიანდეს, ე. ი. რამდენჯერმე ჩაიყოს წილაში და ამოიღოს; მაშინ შუბს გადაეკრება წილის ქერქი, რომელიც დაიფარავს მას სწრაფი გაღნობისაგან. ღუმელის მხრიდან ნახვრეტის შუბით გაფართოვების დროს უნდა ვეცადოთ, რომ არ შევეხოთ ნახვრეტის ზედა მხარეს, არამედ მოვანგრიოთ გვერდები და უპირველეს ყოვლისა ზღურბლი. როგორც ერთი შუბი მოიღუნება, არებენ მეორეს და ა. შ. მუშაობის ასეთი წესით შესრულებისას თითქმის ყოველთვის ქერხდება ზღურბლის მოსპობა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ პირველმა თანაშემწემ დაუშვა შეცდომა და ნახვრეტი შეტეხა ძალიან მაღლა.


¹ ლითონისა და წილის არევის დროს ჭიდის ნაწილაკები გაიხლართება ლითონში და ამით გააჭიმუიანებს მას. ამას გარდა ასეთი არევის დროს ლითონიდან სჭრაფად ამოიწვება ჩისი ძვირფასი შემადგენლი ნაწილები - სილიციუმი და მანგანუმი.

ზოგჯერ გამოსაშვები ნახვრეტი ძალიან დიდი აღმოჩნდება. ეს ხდება, მაგალითად, სუსტად დატკეპნილი დანატენის ჩამონგრევის გამო. ასეთი ნახვრეტიდან ლითონი გამოდის მეტად ძლიერი ჭავლის სახით, რომელიც ადვილად აღარ ეტევა ღარში და შეიძლება და, ზოანოს ციცვების საკეტი, ღარის არმატურა და მოედანი. ამ შემთხვევაში ნახვრეტის გაფართოვება შუბებით ლუმელის მხრიდან, რასაკვირველია, საჭირო აღარ არის. პირიქით, საჭიროა ნახვრეტის შემცირება, რისთვისაც ნახვრეტის ზემო ნაწილს დაფარავენ რკინ ს სახვეტით¹⁾.

ზოგჯერ შებრუნებითი შემთხვევებიცაა, როდესაც გამოსაშვები ნახვრეტი იმდენად მცირეა და ისე ძლიერ შედუღებულია, რომ მისი გამონგრევა მეტად გაძნელებულია. მცირე ნახვრეტი—ეს დაუდევარი მოვლის შედეგია (იხ. შემდეგ). ძალიან შედუღებული ნახვრეტი კი ხშირად მიიღება მეტად ხანგძლივი დნობების შემდეგ. ამ შემთხვევებში ნახვრეტის შეტეხვის აჩქარების მიზნით ხმარობენ მოწყობილობას, რომელიც მოყვანილია სურ. 16-ზე. ის შესდგება ნაჭედი „ა“ ულისაგან, „ნ“ სოლისაგან, „ც“ ძალაყინისაგან. ძალაყინი შეიირშობა ნახვრეტის გამონაშენში უროს ცემით იმდენად ღრმად, რომ ხელით მისი გამოძრობა შეუძლებელი იყოს, შემდეგ ძალაყინზე წამოიცმება უღე, ძალაყინის ზემოდან ულელში ჩაისმება სოლი განიერი ბოლოთი ღუმელისკენ და ამ სოლზე უროს ცემით ძალაყინი გამოიგდება ნახვრეტიდან. ამასთან ერთად ჩვეულებრივად ძალაყინის კვალდაკვალ ნახვრეტიდან გამოჩნდება ლითონის ჭივლიც. მაგრამ ზოგ-ზოგ განსაკუთრებულ შემახვევებში ეს ზომა თავის

¹⁾ ასეთი ნახვრეტის ამოშენებისას იქ უნდა ჩაიყაროს გამომწევარი დოლომიტი, ხოლო თუ ნახვრეტში ზემო ნაწილი ჩამოინგრა, მაშინ საჭიროა ნახვრეტის ახალი დატენა.

მიზანს ვერ აღწევს. მაშინ იყენებენ გამოსაშვები ნახვრეტის გამოწვას უანგბადით. უანგბადის ბალონს უერთდება ლუნვადი სახელურის შემწეობით ფოლადის გრძელი მილი, დიამეტრით $\frac{3}{4}$ ". მილის ბოლო შეიყოფა ნახვრეტი. ში, შემდეგ გაიღება ხრახნსაცობი უანგბადის ბალონზე



სურ. 16

და მიღებული მახვილი ალი ჩვეულებრივად ძალიან სწრაფად გამოსწვავს ნახვრეტის გამონაშენს. უნდა ვიქონიოთ ძხედველობაში, რომ გამოწვის დროს მილი ჩქარა იწყის; ამიტომ საჭიროა, რომ აღებული იყოს საკმაოდ გრძელი მილი - დაახლოვებით 4 მეტრი.

4) საგამოშროებები გამოსაშვები ნახვრეტთან

ა) გამოშრობა

დნობის გამოშვების შემდეგ ნახვრეტის გამოშენების წინ აუცილებლად საჭიროა ნახვრეტის გამოშრობა. გამოშრობის მიზანია ნახვრეტიდან ლითონის გუბენების მოშორება, რომლებიც იქ დარჩა დნობის გამოშვების შემდეგ. თუ ლითონის ამ ნაშთებს არ მოესპობთ, მაშინ ნახვრეტში შეიქმნება „თხა“, რომელიც გააძნელებს ნახვრეტის წესიერად გამონგრევას ქვემო პირზე. ამას გარდა „თხა“ გამოსაშვებ ნახვრეტში შეიძლება შეიქმნეს სერიოზული ავარიის მიზეზი. ეს ავარია.

არის ლითონის გაქცევა ნახვრეტიდან. გამდნარ ლითონს შეუძლია მიაღწიოს „თხამდე“, გააღნოს იგი და გამოხეთქოს ღუმელიდან.

ნახვრეტის გამოშრობა სრულდება შემდეგნაირად: მაგორი ისერის ნიჩბით ნახვრეტში მაგნეზიტის ფხვნილს (ჩვეულებრივად ამისათვის იყენებენ ნახვრეტის გამონგრევის დროს გამოხვეტილ მაგნეზიტის ფხვნილს), მდნობელის პირველი თანაშემწე კი გელათი, ან სატკეპნით აზილავს ამ ფხვნილს ნახვრეტში არსებული ლითონის გუბეებში და გამოხვეტავს მიღებულ ცომისებურ მასას.

ბ) გაგლესვა

თუ გამოშრობის შემდეგ ნახვრეტში აღმოჩნდება ორმოები, საჭიროა გაშრობისა და გამოშენების შემდეგ ნახვრეტის ძირზე გაიგლისოს შამოჭის თიხა (იხ. გვ. 57), ისე რომ ამოიგსოს ყველა ორმოები.

ამ შემთხვევაში პირველად ნახვრეტი გამოშენდება რაც კი შეიძლება მოკლედ თვით ღუმელთან და მერე გაგლესვის შემდეგ საბოლოოდ გამოშენდება ნახვრეტის დანარჩენი ნაწილი.

გ) ნახვრეტის გარშემომტკრევა

გამოსაშვები ნახვრეტი მუდამ ისეთ მდგომარეობაში უნდა გვქონდეს, რომ შიგ გადიოდეს რგვალი სატკეპნი დიამეტრით 100 მილიმეტრი. ნახვრეტში ხშირად რჩება ლითონის ნაღვენთები ცივი ღნობების გამოშვების შემდეგ და ამიტომ ყოველი ასეთი ღნობის შემდეგ საჭიროა ნახვრეტის გარშემომტკრევა ზემოთ აღნიშნულ ზომამდე. ეს სამუშაო შეიძლება. შესრულდეს ღუმელის გაუჩერებლად ჩატვირთვის დროს. ამისათვის ნახვრეტი გა-

მოშენდება შოკლედ, ხოლო გარშემომტვრევის შემდეგ გაიგლისება და გამოშენდება საბოლოოდ.

ნახვრეტის გარშემომტვრევა სრულდება ოგვალი ან კვადრატული გრძელი ძალაყინებით, რომლებიც უნდა იყოს კარგად გაწრთობილი და უნდა ჰქონდეთ მახვილი ბოლოები. საჭიროა მზად გვქონდეს ძალაყინების საკმაო მარაგი, რომ შეიძლებოდეს მათი ხშირად შეცვლა, როცა მათი ბოლოები დაჩლუნგებას დაიწყებს. გამოსაშვებ ღართან უნდა იდგეს პატარა ავზი წყლით ნახვრეტიდან გამოღებული ძალაყინების ბოლოების გასაცივებლად. სამუშაო სრულდება ასეთი მიმდევრობით: მდნობელის თანაშემწე აყენებს ძალაყინს ისეთ ადგილზე, სადაც უფრო მოსახერხებელია ლითონის ნაღვენთის აცლა ნახვრეტის კედლებიდან, და აკავებს ძალაყინს ამ მდგომარეობაში. შეგორები რიგ-რიგობით ურტყამენ უროს ძალაყინის ჩასარწობად. შემდეგ თანაშემწე დააყენებს ძალაყინს სხვა ადგილზე დაა. შ. როცა ლითონის „თხა“ საკმაოთ აეცლება ნახვრეტის გვერდით კედლებს, იწყებენ მის შერყევას და ამგვარად გამოამტვრევენ მას ნახვრეტიდან.

თუ გამოსაშვებ ნახვრეტს დაუდევრად მოაუცვლიან, თუ რამდენიმე ცვლის განმავლობაში არ მოახდენენ გამოშრობას და ნახვრეტის გარშემომტვრევას (მაშინ, როცა ეს საჭიროა), ნახვრეტი შეიძლება იმდენად შევიწროვდეს, რომ ღნობის გამოშვება ძალიან გაძნელებული გახდეს და ღნობის. შემდეგ კი საჭირო გახდეს ღუმელის გაჩერება ნახვრეტის გარშემოსამტვრევად, რადგან ამის შესრულება ღუმელის გაუჩერებლად უკვე შეუძლებელი იქნება. ასეთი მეტად შევიწროვებული ნახვრეტის გარშემომტვრევის შემდეგ უნდა გაისინჯოს, ხომ არ ჩამოინგრა ნახვრეტის ზემო. მხარე. თუ ნახვრეტის ზემო. მხარე თავის

ადგილზე და კარგ მდგომარეობაშია, შეიძლება დავჭრა
მაყოფილდეთის ნახვრეტის გვერდების და ძირის მხოლოდ
გაგლესვით, ხოლო თუ გარშემომტკრევის დროს ნახვრეტის
ზევითი მხარე ჩამოინგრა, მაშინ საჭიროა ნახვრეტი
ხელახლა დაიტენოს ხის ფორმაზე.

ნახვრეტის გარშემომტკრევის მაგიერ უანგბალით
ჭრის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში,
როდესაც ნახვრეტში ნაღვენთები მხოლოდ ლითო-
ნისაა, მაგრამ, რადგან ეს ნაღვენთები ჩვეულებრივად
წარმოადგენენ ლითონს არეულს წარდასთან, დოლომიტ-
თან და მაგნეზიტთან, ამიტომ აქ უანგბალით ჭრა ჩვეუ-
ლებრივად გამოიუსადევარია..

დ) ზღურბლის მონგრევა

ზემოთ ჩვენ ჩამოვთვალეთ ზომების მთელი პიგი,
რომლებიც უნდა იქნეს მიღებული, რომ ნახვრეტში არ
გაკეთდეს ზღურბლი. მაგრამ თუ მაინც და მაინც დაუ-
დევარი მოვლის შედეგად ნახვრეტში გაჩნდება ზღურბ-
ლი, საჭიროა ის დაუყოვნებლივ მოისპოს, რადგან ნახვ-
რეტში ზღურბლის არსებობა გამოიწვევს წილის ნააღ-
რევად მოქცევას ციცქაში და ეს კი, როგორც უკვე აღვ-
ნიშნეთ, აუარესებს ფოლადის ლირსებას (იხ. გვ. 61).
თუ ზღურბლი პატარა ზომისაა, მის მოსასპობად საკმა-
რისია ნახვრეტის ჩვეულებრივი გამოშენება რკინის მად-
ნით და ლუმელის მხრიდან ზღურბლის მომტკრევა შუ-
ბებით შემდგომი დნობის გამოშევის დროს. ხოლო
თუ ზღურბლი დიდი ზომისაა, მაშინ ამ ლონისძიებათა
ხმარება საკმარისი აღარაა და საჭირო ხდება ლუმელის
შეჩერება ზღურბლის მოსანგრევად.

ზღურბლის მონგრევა ხდება გრძელი ძალაყინებით
დააზღლვებით იმავე წესით, როგორც ნახვრეტის განგრე-

კა. ამსთან საჭიროა ყოველთვის დავიცვათ შეძლეგი წე-
სი: ზღურბლის მონგრევა უნდა დავიწყოთ მისი თხემი-
დან და არა ძირიდან. თუ ზღურბლის მონგრევას დავი-
წყებთ ძირიდან, შესაძლებელია ძალაყინი შეცუობით ძა-
ლიან დაბლა დაურწოთ და მაშინ ზღურბლთან ერთად
აინგრევა ფსკერის ნაწილიც და ეს კი ძალიან გააძნე-
ლებს და შეაფერხებს მუშაობას.

ზღურბლის მონგრევას მნიშველოვანად ააღვილებს
შემდეგი გზახერხი: ძალაყინებით და უროთი მოამტვრდ-
ვენ ზღურბლის ნაპირს ნახვრეტის შერიდან ისე, რომ ამ
ნაპირს მიყენე ბრტყელი კედლის სახე, ნახვრეტში შე-
ყოფენ რელსს (უმჯობესია მძიმე ტიპის რელსი, მაგალი-
თად, ვილიამსის რელსი) თავით ქვევითკენ, მჭიდროთ
მიაბჯენენ მას ზღურბლის ბრტყელ ნაპირს და დაკავე-
ბენ მას ამ მდგომარეობაში ხის სახვეტების ჩასოლებით
ლარში. შემდეგ ხილური ამწით აიღებენ მძიმე ბოყეს,
სახმარად უვარებისს, გააქანებენ მას და მიარტყამენ ლა-
რიდან გამოშვერილ რელსის ბოლოს. რამოდენიმე ასე-
თი ძლიერი მირტყმით ყოველი ზღურბლის მონგრევა
შეიძლება. ამ გზახერხის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ:

1) ძლიერი დარტყმები იწვევენ მთელი ლუმელის
შერყევას; მაშასადამე ამ საშუალების გამოყენება არ
შეიძლება, თუ ლუმელის თაღი ძველი და არასაიმედოა
(ან, პირიქით, სრულიად ახალი, ჯერ გაუწიდიანებელი);

2) დარტყმების დროს შერყევები გადაეცემა ხი-
ლური ამწის ჯალამბარს, განსაკუთრებით მოტორებს;
მოტორზე ამ შერყევების მავნე გავლენა რამოდენიმედ
შემცირდება, თუ დარტყმის დროს მოტორი გამორთუ-
ლი გვექნება.

ამ მოსახრებათა გამო ამ გზახერხის გამოყენება
უნდა ხდებოდეს მხოლოდ უკიდურესად აუცილებელ შე-

მთხვევებში, როდესაც ზღურბლები შეტად მაღალი ან
მეტად სქელია და მათი ხელით მონგრევა ღუმელს დიდ-
ხანს გააჩერებდა.

ვამთავრებთ რა ამით გამოსაშვები ნახვრეტის მოვ-
ლის გზახერხების აღწერას, კიდევ გავიმეორებთ, რომ
გამოსაშვები ნახვრეტის მდგომარეობას უნდა მიექცეს
დიდი ყურადღება. ღუმელის ყოველი შეჩერების დროს —
მურის ამოსაწვავად, ორმოების ამოსაწმენდად, ცხელი
შეკეთებისათვის და ა. შ.—უნდა აუცილებლად გაისინ-
ჯოს გამოსაშვები ნახვრეტი და შესრულდეს ყველა სა-
ჭირო შეკეთებები, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

ლარების მოვლა

1) გამოსაშვები ლარი

გამოსაშვები ლარის მოვლა მდგომარეობს: 1) ლა-
რის გაწმენდაში ლითონის ნაღვენთებისაგან; 2) აგურის
წყობის ნაწილობრივ ან მოლიან გამოცვლაში (თუ ეს
საჭიროა); 3) ლარის შეგლესვაში; 4) უძრავი ლარის შე-
ერთებაში მოძრავთან; 5) ლარის გაშრობაში.

ლითონის ნაღვენთები ყოველთვისა ჩნდება ლარში
დნობის გამოშვებისას (ან ორმოების ამოლვრისას). მხო-
ლოდ მეტად ცხელი დნობა არ იძლევა არავითარ ნა-
ღვენთებს; ჩვეულებრივად კი ყოველზედის გვიხდება ლი-
თონის პატარა „თხების“ აგლეჯა ლარის ბოლოდან, მის
გვერდით კედლებიდან და მის ძირიდან, სადაც ლითონი
წალეკავს განაგლესს და შეაღწევს აგურის წყობის ნა-
კერებში. თუ ამ „თხების“ მოუშორებლად გაგგლესავთ
ლარს და მასზე გამოუშვებთ შემდეგ დნობას, ადვილად
შეიძლება მოხდეს ის, რომ ლითონი რომელიმე ადგილას
გაადნობს „თხას“, შეაღწევს წყობაში უფრო ღრმად,

შეიძლება მიაღწიოს ღარის არმატურას, გაჭამოს იგი და ეს კი გამოიწვევს ლითონის ნაწილის ან მთელი დნობის დაკარგვას.

როცა ღარიდან სკრაპი მოშორებულია, მაშინ იმის მიხედვით თუ რამდენად დაზიანდა ღარის წყობა, საჭიროა ამ წყობის შეკეთება. წყობის მცირე შეკეთებებს ასრულებს მდნობელის მეორე თანაშემწე, რომელიც საერთოდ ასრულებს გამოსაშვები ღარის მოვლაში საჭირო ყოველგვარ სამუშაოებს. წყობის უფრო დიდ შეკეთებებს ასრულებენ კალატოზები. ღარის წყობის დიდი შეკეთება ჩვეულებრივად ხდება საჭირო ორ კვირაში ერთხელ; უფრო ხშირად ეს სრულდება მურის ამოწვის დროს ან ორმოს ამოღვრის შემდეგ, ნახვრეტის გარშემომტკრევისას, ზღურბლის მონგრევისას და ა. შ.

გამოსაშვები ღარის შეგლესვა ხდება შამოტის თიხით დაახლოვებით ერთი თითის სისქე შრის სახით. ღარის ძალიან სქლად შეგლესვა სასურველი არაა, რადგან მაშინ ძნელია მისი გაშრობა.

ღარის შეგლესვის შემდეგ მის მოძრავ ნაწილს აერთებენ უძრავთან. საჭიროა საკმაო ყურადღება მიებუროს შეერთების ადგილს. ზოგჯერ არის შემთხვევა, რომ ღარის მოძრავი ნსწილი დაწეულია და უძრავზე უფრო დაბლა. ასეთ შემთხვევაში უნდა აიწიოს ღარის დაწეული ნაწილი მომჭიმავი ქანჩის საშუალებით, ხოლო თუ სავსებით მისი აწევა ვერ მოხერხდა, მაშინ შეერთების ადგილი უნდა გასწორდეს შამოტის იგურით. მთელი შეერთების ადგილი უნდა გულმოლგინედ გაიგლისოს შამოტის თიხით. როდესაც ღარის ორივე ნაწილი შეერთებული იქნება, უნდა თიხით გარშემომოგლისოს ის სახსარიც, რომელზედაც ბრუნავს ღარი. ეს იმისათვის კეთდება, რომ, თუ ფოლადი გადაიღვარა ღარის ნაპირებზე (ეს კი რო-

გორუ ზემოთ იყო ნათქვამი, შეიძლება მოხდეს, ან ძალა-
ან დიდი გამოსაშვები ნახვრეტის გამო, ან ამ ნახვრეტის
დაუდევრად გამონგრევის გამო), ლითონი არ დაესხას
სახსარს.

მოძრავი ნაწილის თავის ადგილზე დაყენების შემ-
დეგ ღარი უნდა კარგად გაშრეს, მეტადრე თუ გამო-
ცვალა მისი წყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნესტიან
ლარში დნობის გამოშვებისას შეიძლება მოხდეს აფეთქე-
ბა ტენის სჭრაფად აორთქლების გამო. ამ აფეთქებით
შეიძლება ღარს მოეგლიჯოს განაგლესის ნაწილი და
აგურები და შექმნილ ნახვრეტში გაიღვაროს ლითონის
ნაწილი. ღარის გასაშრობად იხმარება ხმელი შეშა. თუ
შეშა ნედლია, მეტადრე ზამთრის პერიოდში, მაშინ ღა-
რის გასაშრობი შეშა ყოველმა ცვლამ უნდა დაამზადოს
შემდეგი ცვლისათვის, რისთკისაც უნდა წინასწარვე
მოზიდოს ეს შეშა და გასაშრობად გააწყოს. ის ღუმე-
ლის უკანა კედელთან.

2) თუჯის ჩასასხმელი ღარი

თუჯის ჩასასხმელი ღარი ან იდგმება ღუმელის წი-
ნა მხრიდან (ე. ი. სამუშაო მოედნის მხრიდან), ან სა-
სხმულო ეზოს მხრიდან. ორივე შემთხვევაში ღარის მოვ-
ლა ერთნაირია—დაახლოებებით ისეთივე, როგორც გა-
მოსაშვები ღარის მოვლა, მხოლოდ იმ განსხვავებით,
რომ მელარეს მოვალეობაში შედის თუჯის ჩასასხმელი
ნახვრეტის მოვლაც (თუ თუჯის ჩასასხმელი ღარი სამსხ-
მელო ეზოს მხრიდანაა). ეს ნახვრეტი უნდა მუდამ
კარგ მდგომარეობაში იყოს, რადგან ის იყენება არა
მარტო თუჯის ჩასასხმელად, არამედ დნობის უკანვე

ლუმელში ჩასასხმელადაც, თუ ვინიცობაა რაიმე ავარია
მოხდა ლითონის ჩამოსხმისას.

თუჯის ჩასასხმელი ნახვრეტი ღარის მხრიდან
უნდა დაიხუროს კირქვის ნატეხით. თუ ამ ნახვრეტს
ღიად დავტოვებთ, მაშინ ამ ნახვრეტიდან აღი იწყებს
გამოფარდნას და დააზიანებს ლუმელის უკანა კადელს.

708680 ნახეარი ტერმინური

აბაზანა—ванна

აირი—газ

ამოზრდა (ფსკერის)—заростание (пода)

არხი—канава

აღვილდნალი—легкоплавкий

ამოჭმა—раз'едание

ამონაგი—футеровка

ბოუզი—изложница

ბურბუშელი—стружка

გაგლუვება—выглаживание

გამოსაშვები ნახერეტი—выпускное отверстие

გაწყობა—заправка

გამოშენება—заделка

გელი—кочерга

გარსაცმი—кожух

გაწილიანებული—ошлакованный

გადასაყვაპი სარქველი—перекидной клапан

განაწვი—прогар

გადასამუშავებელი თუჯი—передельный чугун

გლინება—прокатка

გამონგრევა—разделка

განუანგვა—раскисление

გაშილიანება—шклакование

ღონბის ღაუვანა—доводка плавки

ღაკოქვა—коксование

ღაღულება—наварка, наваривание

ღონბა—плавление, плавка

ზღურბლი—порог

ზღურბლის თხემი—гребень порога

ჰესადგამი—надставка

ჰოდი—чушка

„თხა“—кошел

თუჯი—чугун

თანაშემწე—подручный

კამარა—арка

კირი—известь

კირქვა—известняк

კოცონი—костер

კოქსის აირი—коксальный газ

კაუმიშა—кремнезем

კაზბი—шихта

ლეჭი—лом

ლორფინი—лещадь

ლოლუა—сосулька

მბორგავი—бурный

მთის ქანი—горная порода

მაყუჩი—заглушка

მაგორავი—каталь

թանգանյումո—марганец
թալլո—пролет
թուղուղեծո—приваривание
թինահյուզո— примесь
թաքաբո—руда
թոքրիչյանա—форсунка

նալցենտո—настыл
նարիցենցո—отходы
նաեւրե՞տուս ցարմշեմոմէցրյա—разделка от-
верстия

նաեմործացո—углерод
շանցծացո—кислород
ռյոնայցա—железняк

սանտուրա—горелка
սաեցե՞տո—гребок
սոլուցոյումո—кремний
սասեամո արեո—литейная канава
սասեմուլու յնո—литейный двор
սասեամո—литник
սամարտյենու տուջո—мартеновский чугун
սացլոնացո սաամյիռո—прокатный цех
սաֆոլորո—шлаковик

գյերուտմեծո—откосы
ցուդյ—основной
ցևյուրո—подина

ფანჯარი—пролет

ფუჭი ქანი—пустая порода

ფლუორის ჟატი—лавиковый шпат

ფისი—смола

ფოლადმდნბელი—сталевар

ფოლადი—сталь

შოთური—штыковый

ჩატვირთვა—зavalка, заваливание

ციცხვი—ковш

ძალაუინი—лом

წუნი—брак

წილი—шлак

ჭაშვი—шахта

ჭაშვური—шахтный

ხოფი—весло

ხებჯი—окалина

ვას 5 გენერი

Грузинское отделение ВНИИО Металлургов

Л. М. ГИРШМАН

**УХОД ЗА МАРТЕНОВСКОЙ
ПЕЧЬЮ**

(на груз. языке)

Гос. тех. изд-во ГССР „Техника да Шрома“

Тбилиси

1946